პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 15 ივნისი 1978 წ. □ № 140 (17184) □ ფასი 2 კაპ.

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

[illegible]

## მოსავალი ავიღოთ დროულად!

ხონელ მექანიზატორთა პატრიოტულ თაოსნობას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ყვარლის რაიონის მექანიზატორებმა და მემინდვრეებმა.

ყვარლელი მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის მუშაკები დიდ ინტერესს იჩენენ სტავროპოლის მხარის იპატოვოს რაიონის მიწათმოქმედთა გამოცდილებისადმი, რომელიც საშუალებას იძლევა პურეულის მოსავლის აღებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო უმოკლეს დროში შესრულდეს.

ამას კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონისათვის, სადაც წელს თავთავიანი მარცვლეული 5.160 ჰექტარზეა ახალები. გაზაფხულზე და ზაფხულის პირველ დღეებში ავდრის მიუხედავად მხვნელ-მთესველებს გადაწყვეტილი აქვთ მიიღონ 12.400 ტონა მარცვლეული, ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი, ანუ შარშანდელთან შედარებით 9 ცენტნერით მეტი.

მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღების მიზნით რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა დროზე იზრუნეს.

შექმნილია მოსავლის ახალებ 8 კომპლექსურ-სატრანსპორტო რგოლი. თითოეულში გაერთიანებულია [illegible] და სხვა დამხმარე [illegible].

პირველად [illegible] აღმოსავლეთის ზონის [illegible] საბჭოთა მეურნეობებში, სადაც პურეული 8-10 დღით ადრე მწიფდება; ამ უბანში გადმოვლენ დასავლეთის ზონის კომპლექსურ-სატრანსპორტო რგოლები, შემდეგ კი — პირიქით.

აღლობის დასაჩქარებლად მოეწყობა ორცვლიანი მუშაობა ისე, რომ თითოეული კომბაინის სადღეღამისო დატვირთვა ავიდეს 14-15 ჰექტარამდე.

რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სოფლის თითოეული მუშაკი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რომ წარმატებით შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

ვ. ყოჩიშვილი.

# დამკვრელურ წელს — დამკვრელური ტემპი!

## ჩვენი პარტიის უდიდესი საზრუნავი ადამიანია!

ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი დიდი ინტერესით ეცნობიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიმდინარე წლის ხუთი თვის მუშაობის შედეგების შემაჯამებელი თათბირის მასალებს, რომლებიც გუშინ პრესაში გამოქვეყნდა. ამ თათბირზე აღნიშნული პოზიტიური შედეგების განზოგადება, აქ გამოთქმული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრა, თათბირის მთელი რიგი პრაქტიკული რეკომენდაციებისა და დასკვნების გათვალისწინება ჩვენს კადრებს, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენლებს თავიანთი შემდგომი მუშაობის მთავარ ორიენტირებად მიაჩნიათ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ზოგიერთი მათგანის გამოხმაურებას.



თბილისის სამრეწველო გაერთიანების „ჩარხმშენებლის" მეთაური საწარმოს ს. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მე-2 საამწყობო საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი ნ. გაბიტაშვილი თანამოსაქმეებს აცნობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის 1978 წლის ხუთი თვის მუშაობის შედეგების შემაჯამებელი თათბირის მასალებს.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

### დისციპლინის სტატისტიკა

ორი წელიწადია, რაც ჩვენი ქარხნის კოლექტივმა გამოიჩინა რესპუბლიკაში ახლა ფართოდ გახმაურებული ინიციატივა — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით". ამ თაოსნობის ძირითადი აზრი წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებაა ფართო გაგებით, ეს იქნება სახელმწიფო, საწარმოო, ტექნოლოგიური, შრომის, სახელშეკრულებო, საფინანსო თუ სხვა დისციპლინა.

მივაღწიეთ იმას, რომ ქარხანაში შექმნილია დისციპლინის მართვის ერთიანი, მწყობრი კომპლექსური სისტემა. ამის ერთ-ერთი მთავარი და სასიხარულო შედეგი ის არის, რომ ჩვენი კოლექტივი უკანასკნელ წლებში სისტემატურად მთელი მეტალურგიული ციკლით წარმატებით ასრულებს როგორც საგეგმო დავალებებს, ისე სოციალისტურ ვალდებულებებს, გამარჯვებული გამოდის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ორი წლის მანძილზე საგრძნობლად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, შემცირდა ტექნოლოგიური წუნი, იკლო რეკლამაციებმა, მნიშვნელოვნად ამაღლდა პროდუქციის ხარისხი. ახლა ჩვენი ქარხნის მიერ გამოშვებული ექვსი სახეობის ნაწარმი მსოფლიოს სტანდარტების დონეზეა და ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს მინიჭებული. ქარხნის მთელი პროდუქციის 20 პროცენტი საპატიო ხუთკუთხედით გამოდის. ამ წარმატებებისათვის ჩვენი საწარმოს კოლექტივს საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის სტანდარტის სახელმწიფო კომიტეტის დიპლომი გადაეცა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, სადაც წლევანდელი ხუთი თვის მუშაობის შედეგები შეაჯამეს, ყურადღება გაამახვილეს დისციპლინის სტატისტიკაზე.

გვეამაყება, რომ თვით გამოთქმა „დისციპლინის სტატისტიკა", მეტალურგთა თაოსნობის შედეგად იშვა და პრაქტიკულად ხორცი შეისხა. ჩვენთან ეს აღრიცხვა კარგად არის მოწესრიგებული და საშუალებას გვაძლევს დროულად გავაანალიზოთ როგორც საქარხნო მასშტაბით, ისე მუშაობის ცალკეულ უბნებზე შექმნილი მდგომარეობა, გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ და საჭირო ღონისძიებები განვახორციელოთ.

მიღწეული ზღვარი როდია. ჩვენ ახლა ყველგან და ყველაფერში წესრიგის განმტკიცებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ახალ ფორმებსა და მეთოდებს ვეძებთ და სრულვყოფთ, ყველა ღონეს ვიხმართ, რომ, როგორც თათბირზე ითქვა, გავზარდოთ დისციპლინის სტატისტიკის უკუგება, ავამაღლოთ ადამიანთა პასუხისმგებლობა.

ე. კურტანიძე,

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მდღნავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

### სიძნელეებს დავძლევთ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 10 ივნისს გამართულ თათბირზე დიდი და საქმიანი მსჯელობა იყო მიმდინარე წლის ხუთი თვის შედეგებსა და მომავლის ამოცანებზე. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ თათბირის მასალების გულდასმით გაცნობამ სოფლის მშრომელები საფუძვლიანად ჩაგვაფიქრა. ჩაგვაფიქრა იმიტომ, რომ ერთობ ღირსშესანიშნავ საკითხზე იყო საუბარი.

კარგად ითქვა ამ თათბირზე: ჩვენი ამოცანა ახლა ის არის, რომ დავრაზმოთ მთელი ძალები. დავრაზმოთ ადამიანები, მთლიანად გამოვიყენოთ მატერიალური რესურსები, რათა წარმატებით დავამთავროთ მიმდინარე წლის პირველი ნახევარი და ამით მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მთლიანად 1978 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებას.

შარშანდელი წელი ურიგო როდი იყო ჩვენთვის. 150 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გვეწარმოებინა. ჩვენმა მშრომელებმა შრომის სწორი ორგანიზაციითა და გარჯით სამშობლოს მისცეს 420 ათასი მანეთის პროდუქცია, მოგება ნაცვლად 134 ათასი მანეთისა 213 ათასი მანეთი იყო. ამ მაჩვენებლებით ჩვენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გავიმარჯვეთ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშით დაგვაჯილდოვეს.

ამ დიდი ჯილდოს მიღებამ ჩვენი მშრომელები აღაფრთოვანა და ახალი გადიდებული ვალდებულებები აკისრებინა. მართალია, სამეურნეო წელი ხანგრძლივი ავდრებით დაიწყო, მაგრამ ამას ჩვენი მშრომელებისათვის გული არ გაუტეხია. პირიქით, უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა დავძლიეთ და იმედი გვაქვს, რომ სამეურნეო წელს წარმატებით დავამთავრებთ, სახელმწიფოს მივყიდით 1.400 ტონა ხილს, 500 ტონა მარცვლეულს, 190 ტონა რძეს, 126 ცენტნერ ბოსტნეულის თესლს და სხვა პროდუქტებს.

როგორც აღვნიშნე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 10 ივნისს გამართულ თათბირზე ბევრი საყურადღებო პრობლემა წამოიჭრა. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ არც წლეულს შევირცხვენთ თავს და საპატიო წვლილს შევიტანთ მიმდინარე სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრების საქმეში.

ბ. ნადირაძე,

გორის რაიონის ხეითის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

### ყველაფერში წესრიგი!

ჩვენს მშრომელებს ეამაყებათ ის სერიოზული წარმატებები, რომლებიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაშია მოპოვებული, მაგრამ საბრძოლო და სამოქმედო, მოსაგვარებელი და გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ამაზე ნათლად და გასაგებად დიდი საუბარი გაიმართა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის 1978 წლის ხუთი თვის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილ შემაჯამებელ თათბირზე.

ამოცანები, საპროგრამო მითითებები, რომლებიც დაისახა, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროს თითოეულ მშრომელს, თითოეულ ჩვენგანს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს. განსაკუთრებით სერიოზული მუშაობა გვმართებს მომსახურების სფეროში ნაკლოვანებების აღმოფხვრის, საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების საქმეში. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ადამიანები ხშირად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, მიატოვებენ ხოლმე სამუშაოს და პირად საქმეებზე დადიან. დასამალი არ არის, რომ ასეთი მოვლენა მეტად ხშირია ჩვენში. ზოგიერთი დილით გამოცხადდება სამსახურში და მთელ სამუშაო დროს პირად საქმეზე ზრუნვაში ატარებს. პირდაპირ უხერხულობა იქმნება, მაგალითად, სპორტულ ღონისძიებებზე, წვეულებებზე, დასაფლავებებზე დაწესებულებიდან ზოგჯერ ყველა მიდის, დაიკეტება კარი და საქმის განმკითხავი არავინ რჩება, განა ეს ნორმალურია?

ცხადია, ასეთი მოვლენები უდისციპლინობის, მომთხოვნელობის შესუსტების შედეგია. მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამაზე პასუხს არავის არ სთხოვენ.

უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი ნაკლოვანებები პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თვალწინ ხდება, რასაც ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ მთელი გულისყურით, სერიოზულობით უნდა მივუდგეთ ამ საქმეს და გადაჭრით უნდა აღვკვეთოთ სამუშაო დროის გაცდენები, ისეთი მოვლენები, როცა ირღვევა სახელმწიფო, საზოგადოებრივი დისციპლინა, ხელი ეშლება საგეგმო დავალებათა შესრულებას. ცხადია, თითოეული ჩვენი მოქალაქე უნდა სარგებლობდეს კანონით მინიჭებული უფლებებით, მაგრამ ასევე კანონიერად უნდა ასრულებდეს მოვალეობას, იცავდეს შინაგანაწესს, დისციპლინას. ამ მხრივ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჩვენს ადგილობრივ საბჭოებს, დეპუტატებს, აქტივს.

ა. ბუცხრიკიძე,

თერჯოლის რაიონის ჩხარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, რაისაბჭოს დეპუტატი.

ჩვენს დიად სამშობლოში

ვრცელია ჩვენი ქვეყანა

## ციმბირის მიწა-წყალზე

გვატყობინებენ საკდესის კორესპონდენტები

### მართვის ავტომატიზებული სისტემა

დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის მეორე საკონვერტორო საამქროში დაინერგა ფოლადის გამოდნობის მართვის ავტომატიზებული სისტემა. მან უზრუნველყო ტექნოლოგიური პროცესის დიდი სიზუსტე და დააჩქარა უზარმაზარი საამქროს მუშაობის რიტმი. უკვე შეტანილია შესწორება საპროექტო ნორმატივებში: 300 ტონა ტევადობის კონვერტორში ფოლადი დნება ორი წუთით ადრე, ვიდრე წინათ, დღეღამეში დაზოგილი წუთები ქმნის ლითონის დამატებითი გამოშვებისათვის საჭირო დროს.

ტექნოლოგიური პროცესის დაჩქარება დანერგილი სიახლის ერთადერთი უპირატესობა როდია, — თქვა მართვის ავტომატიზებული სისტემის ხელმძღვანელმა, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ალექსანდრე კოშელევმა. — შესამჩნევად უმჯობესდება ფოლადის ხარისხი, იზოგება ნედლეული და ელექტროენერგია. მართვის ავტომატიზებული სისტემის მეოხებით საამქრო დამატებითი სიმძლავრეების აუმოქმედებლად წელს 50 ათასი ტონით გაადიდებს ფოლადის გამოდნობას.

ნოვოკუზნეცკი, კემეროვოს ოლქი

### ელექტროგადამცემი ხაზი — 500 საიანზე

საიანსკ-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურის ქვაბულზე აღიმართა სტვორ-საიანოგორსკ-აბაკანის ელექტროგადამცემი ხაზის პირველი მაღლივი ბურჯების ფოლადის კონსტრუქციები. ამ ხაზით დენს მიიღებენ საიან-ანსკის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის საწარმოები და მშენებლობები.

ჰიდრომშენებლებმა ვალდებულება იკისრეს სადგურის პირველი აგრეგატი აამუშაონ მიმდინარე წლის დეკემბერში, ერთი თვით ადრე — ნოემბერში კი საექსპლოატაციოდ გადაეცემა ელექტროგადამცემი ხაზი — 500 — ახე გადაწყვიტა „კრასნოიარსკელექტროქსელმშენის" ტრესტის № 61 მექანიზებული კოლონის კოლექტივმა. უკვე მთლიანად დამთავრდა საძირკვლის აგება და დაიწყო ბურჯების დამონტაჟება. მთიან ტაიგაში გამავალი ტრასის რთულ 36-კილომეტრიან მონაკვეთზე ლითონკონსტრუქციებსა და სხვა ტვირთს ვერტმფრენებით ეზიდებიან.

საიანოგორსკი, კრასნოიარსკის მხარე.

### ლითონი, რომელსაც სიცივე ვერაფერს აკლებს

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ჩრდილოეთის ფიზიკა-ტექნიკური პრობლემების ინსტიტუტის იაკუტიის ფილიალის სპეციალისტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები შესადუღი შენაერთებისათვის, რომლებსაც გამოიყენებენ განსაკუთრებით დაბალი ტემპერატურების პირობებში მაგისტრალური გაზსადენების მშენებლობის დროს. მათ საფუძვლად უდევს გამოცდილება, რომელიც შეძენილია კავშირში უკიდურესი ჩრდილოეთის მილსადენის ტაას-ტუმუს-იაკუტსკ-ბესტიახის აგების პროცესში. აქ პირველად მოეწყო შედუღება მინუს 50 გრადუსამდე ტემპერატურის დროს. გამოყენებული იყო რთული შემადგენლობის განსაკუთრებული ფლუსები, რამაც უზრუნველყო მილების პირაპირების მტკიცე შეერთება. მისი საიმედოობა დადასტურდა ფოლადის ხაზის ხანგრძლივი ექსპლოატაციის დროს, ამასთან ტემპერატურის ცვალებადობა ას გრადუსს აღწევდა.

მეცნიერთა რეკომენდაციებს გამოიყენებენ იაკუტია-შორეული აღმოსავლეთის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობაში.

იაკუტსკი.

### ელექტროგადამცემი ხაზები

სვერდლოვსკი. საწარმოო გაერთიანება „ურალელექტრომანქანის" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ზემაღალვოლტიან ლაბორატორიაში დამთავრდა ჩვენს ქვეყანაში უდიდესი „ვნვ-1150" საჰაერო ჩამრთველ-ამომრთველის" საცდელი ნიმუშის გამოცდა. იგი გათვალისწინებულია მილიონ 150 ათასი ვოლტი ძაბვის მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზებისათვის. ასეთი ძაბვისათვის არის განკუთვნილი ქვეყნის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, „ძირითადი მიმართულებების" შესაბამისად რომ იქმნება, რომელიც აერთიანებს ციმბირისა და შუა აზიის ენერგოსისტემებს ევროპის ენერგეტიკულ სისტემასთან. ჩამრთველ-ამომრთველი შექმნილია „ურალელექტრომანქანის" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო ელექტროტექნიკური ინსტიტუტის კონსტრუქტორებისა და მკვლევარების მჭიდრო თანამეგობრობით.

საცდელი ნიმუშები გაიგზავნება სპეციალურ პოლიგონებზე, რათა გამოსცადონ სხვა ზემაღალვოლტიან მოწყობილობასთან კომპლექსით.

სურათზე: „ვნვ-1150" ჩამრთველ-ამომრთველი ზემაღალვოლტიანი ლაბორატორიის საცდელ დარბაზში.

ვ. კოტლიაკოვის ფოტო.



### ორდენი მაკეევკის დროშაზე

მაკეევკა, („დონეცკის ოლქი). მშრომელთა წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა პარტიის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ქალაქ მაკეევკისათვის შრომის წითელი დროშის ორდენის გადაცემას.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ვ. ვ. კუზნეცოვს, რომელიც სხდომაზე გამოვიდა.

ვ. ვ. კუზნეცოვმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და შეკრებილთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში მიამაგრა ჯილდო ქალაქის დროშას.

მაკეევკაში ვ. ვ. კუზნეცოვმა ყვავილებით შეამკო ვ. ი. ლენინის ძეგლი. (საკდესი).

□

### უზბეკურ ენაზე

ტაშკენტი. 14 ივნისი. (საკდესი). გამომცემლობა „უზბეკისტანმა" უზბეკურ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის ოცდამეჩვიდმეტე ტომი. გამოცემას ახორციელებს უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი.

14 ივნისი

## „პრავდის" ფურცლებზე

პარტიული ორგანიზაციები ინიციატივიანად, ვითარების ცოდნით წარმართავენ უდიდეს აღმშენებლობითს მუშაობას, რომელიც არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლებში წარმოებს, ნათქვამია მეთაურ წერილში — „კიდევ უფრო გალამაზდება არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლები". სწორედ იქცევიან იქ, სადაც აძლიერებენ პარტიულ კონტროლს, ამაღლებენ კადრების პასუხისმგებლობას ვალდებულებათა შესრულებისათვის, ცდილობენ შექმნან თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, მშენებელთა თითოეულ კოლექტივში დავალებათა ყოველგვარი ჩაშლისადმი, სამუშაო დროის დანაკარგებისადმი, წუნისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო. კომუნისტთა განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს მეურნეობათა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების რეალიზაცია, რაზედაც დამოკიდებულია წარმოების აღმავლობაც და ადამიანთა ყოფა-ცხოვრების მოწყობაც. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ განხორციელებული ღონისძიებანი არა მარტო პერსპექტივაში, არამედ დღესვე ხელს უწყობდეს სოფლად ახალგაზრდა კადრების შენარჩუნებას, ქალაქსა და სოფელს შორის ცხოვრების პირობების არსებითი განსხვავების დაძლევას.

ზაფხულის დარიან დღეებში ხელშემწყობი შესაძლებლობანი იქმნება მშენებლობებზე სამუშაოთა ტემპის დაჩქარებისათვის, წერს გაზეთი. დრო ახლა განსაკუთრებით ფასობს და იგი არ უნდა გავაცდინოთ. მშენებელთა, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კოლექტივები, რომლებიც საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას, რომ ხუთწლედის მესამე წელი დამკვრელური შრომით აღნიშნონ, ამრავლებენ მეცადინეობას რუსეთის არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლების გარდაქმნისათვის.

როგორც გაზეთი იტყობინება, უკრაინელმა მხვნელ-მთესველებმა წარმატებით გაართვეს თავი რესპუბლიკის ჭარხლის მინდვრის დამუშავების პასუხსაგებ ეტაპს — მცენარის სიხშირის ჩამოყალიბებას. 1,7 მილიონი ჰექტარის თითქმის ყოველ ჰექტარზე დარჩენილია 95-100 ათასი ძირი. ამჟამად გაჩაღებულია მინდვრის მოვლა და დამუშავება. ამაზე მოგვითხრობს ი. გუსევის რეპორტაჟი — „ორ ცვლად" („მოსავალი — 78: ზრდის რეზერვები").

პარტიული მუშაკის დღე ყალიბდება ადამიანებთან ურთიერთობაში, უწინარესად ასევე ადამიანების ბედთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მომზადებით, მიღებითა და განხორციელებით. რით გავზომოთ, რა პროცენტებით და ძალებით გამოვხატოთ პარტიული მუშაკის ღონისძიებათა შედეგიანობა, მისი შრომის ეფექტიანობა? ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი მაჩვენებელია იმ ადამიანების აზრით, რომლებსაც ხვდება პარტიული მუშაკი, „დამღა", რომელსაც იგი ტოვებს იმათ მეხსიერებასა და გულში. ამაზე წერენ მკითხველები, რომლებიც გამოეხმაურნენ „პრავდის" მიწვევას მონაწილეობა მიეღოთ ამ საუბარში, რომლის რუბრიკაა: „პარტიული ცხოვრება: საქმე, რომელსაც ემსახურები". გუშინ ეს მასალები გამოქვეყნებულია საერთო სათაურით — „ყოველი დღე და საათი".

გუშინდელსავე ნომერში გაეცნობით სსრ კავშირის გაზის მრეწველობის მინისტრის ს. ორუჯევის წერილს — „მომჭირნედ გამოვიყენოთ გაზი", მ. ჩიხლოვის ლიტერატურულ მიმოხილვას — „ხასიათის სიღრმე", მასწავლებელ დ. დობრიანიკის საუბარს — „მომთხოვნი პატივისცემით".

გაზეთის მეექვსე გვერდზე გამოქვეყნებულია მ. დათიკაშვილისა და ი. დავითაშვილის ფოტო, რომელზეც ასახულია სახალხო დღესასწაული — „გარეჯობა".

ПРАВДА

## მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის

ლენინგრადი, 14 ივნისი. (საკდესის კორ.). ბალტიის ზღვის ქვეყნების, ნორვეგიისა და ისლანდიის მორიგი სამუშაო კონფერენციის ემბლემაა რიცხვი „XXI", რომლის გარშემოც ცხრა სახელმწიფოს ეროვნული ალმები ფრიალებს. დღეს თავრიზის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა პროფკავშირთა ტრადიციული შეხვედრა. აქ შეიკრიბა ას ორმოც მილიონზე მეტი მშრომელის წარმომადგენელი ოთხასი დელეგატი. კონფერენციის ფარგლებში დელეგატები სამ დღეს ეცნობოდნენ ქალაქის საწარმოებს, საბჭოთა პროფკავშირების მრავალმხრივ საქმიანობას, ლენინგრადელთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობებს. მიმდინარეობდა ორმხრივი შეხვედრები, სადისკუსიო ფორუმები თანამედროვე პროფკავშირული მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე.

კონფერენციაზე მოხსენება „პროფკავშირების ერთობლივი მოქმედებისათვის მშვიდობის, განიარაღებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში" გააკეთა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. შიბაევმა.

მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა საბჭოთა პროფკავშირების როლი მშვიდობის პროგრამის რეალიზაციაში, მათი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის საერთაშორისო თანამშრომლობისა და მუშათა სოლიდარობის საქმეში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სახელით კონფერენციის დელეგატებს მიესალმა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანი იან ნემოუდრი.

პროფკავშირული ფორუმი მუშაობას განაგრძობს.

### ორი ქვეყნის კეთილმეზობლობა

ოთხი მილიონი ტონა ფოლადი წელიწადში — ასეთია თურქეთის ისკენდერუნის მეტალურგიული კომბინატის საპროექტო სიმძლავრე, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით აშენდა. მისი დაპროექტების დროს გაითვალისწინეს უკანასკნელი მიღწევები შავი მეტალურგიის დარგში.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის ეკონომიკურ ურთიერთობას სტაბილური ხასიათი აქვს და აღმავალი ხაზით ვითარდება, აცნობეს საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტში. ისკენდერუნის ქარხნის გარდა მეზობელ ქვეყანაში საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა დიდი ნავთობგადასამუშავებელი კომბინატი და ალუმინის საწარმო. პროექტშია მთელი რიგი სხვა ერთობლივი მშენებლობები, მათ შორის კაშხალის აგება სასაზღვრო მდინარე ახურიანზე. დიდი წყალსაცავის მეშვეობით, რომელიც აქ შეიქმნება, მოირწყვება ათიათასობით ჰექტარი მიწა.

წლითიწლობით ფართოვდება ორი ქვეყნის ვაჭრობა. უკანასკნელ ათ წელიწადში მისი მოცულობა თითქმის ერთისამად გაიზარდა.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობის შერეული სამთავრობათაშორისო კომისია, რომელიც მუშაობას დაახლოებით ორი წლის წინათ შეუდგა, ესწრაფვის მეტი მასშტაბი მიანიჭოს ორი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო კონტაქტებს.

## პარტიული ცხოვრება

# თვალსაჩინოების სიკეთე

გორს რომ უახლოვდებით, თვალში გვხვდება და გულს გვიხარებს მშვენიერი ტრანსპარანტი, რომელიც მოგვიწოდებს: „არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო — ჩვენს ქალაქში!" ეს მგზნებარე სიტყვები მითუმეტეს შთამბეჭდავი და სასიამოვნოა ახლა, ვინაიდან ამ ბოლო წლებში ისინი სინამდვილედ ქცეულა.

ქალაქის მოედნებზე და გზაჯვარედინებზე ჩვენ ვხედავთ მიმზიდველ სტენდებს და პანოებს, ფოტოვიტრინებს პარტიის XXV ყრილობის მოწოდებების, გორის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებების, ახალი კონსტიტუციისა და ხალხთა მეგობრობის შესახებ.

გორში ერთ-ერთი მოწინავეა ანალიზურ ხელსაწყოთა საცდელი ქარხანა (დირექტორი დ. სანაკოევი, პარტბიუროს მდივანი დ. ახალკაცი). აქ გასული საიუბილეო წლისა და 1978 წლის მიმდინარე თვეების საწარმოო გეგმები გადაჭარბებით შესრულეს. კარგი მაჩვენებლებია გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მიხედვითაც. როგორც ქარხნის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში და მათ შორის შრომით წარმატებებში თვალსაჩინო აგიტაციას მცირე როლი როდი მიუძღვის.

ქარხნის ვესტიბიულში ყველაზე საპატიო ადგილი უკავია ლამაზად გაფორმებულ სტენდ-პანოს, რომელსაც მისი შინაარსის მიხედვით ეწოდება „შეჯიბრება წარმოების კულტურაში".

რასაკვირველია, ქარხნის ყველა საამქროს, თითოეული კოლექტივის წევრს აინტერესებს თავისი შრომისა და პროდუქციის წარმოების კულტურის ყოველდღიური შეფასება. აქ კი ნათლად ჩანს, თუ ქარხნის რომელმა საამქრომ გაიმარჯვა დღეს. ამ შეფასებას აღნიშნულ სტენდპანოზე ყოველდღიურად ორიგინალურად ასახავს სოციალისტური შეჯიბრების საქარხნო კომისია. შეფასება ხდება მშრომელთა ვალდებულებების შესრულების რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების მიხედვით; კომისია თანაც ითვალისწინებს საამქროს მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი პოლიტიკური განვითარების დონეს. საამქროების კოლექტივთა ეს ყოველდღიური შეფასება ყოველი თვის ბოლოს ჯამდება, რაც თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ ვინ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმოების კულტურისათვის. შეჯიბრებაში გამარჯვებული საამქროს მშრომელები კი მორალურ სტიმულთან ერთად მეტ მატერიალურ წახალისებას ღებულობენ. აქ ორგანულად არის შერწყმული მშრომელთა ენთუზიაზმი და მატერიალური წახალისება.

მოწონებას იმსახურებს თვალსაჩინო აგიტაციის მდგომარეობა გორის მე-9 საშუალო სკოლაშიც (სკოლის დირექტორი მ. აბუაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი — რ. ცერცვაძე). აქ თვალსაჩინოება უპირველეს ყოვლისა

### აგიტაციის ემოციური გამომსახველობისა და ქმედითობისათვის

□

გამოირჩევა თავისი ოპერატიულობითა და აქტუალობით. მაგალითად, გამოქვეყნდა თუ არა ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებები „მცირე მიწა" და „აღორძინება", მაშინვე მოაწყვეს შინაარსიანად და მაღალი გემოვნებით გაფორმებული ლიტერატურული კუთხე. სკოლის კოლექტივს შექმნა კარგი პირობა ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებთა გაცნობასთან ერთად დაათვალიეროს საინტერესო თემატიკური ილუსტრაციები. შემთხვევითი როდია, რომ სკოლაში იშვიათად გვხვდებიან ე. წ. „ორწლიანები".

საქვეყნოდ არის ცნობილი გორის ბამბეულის კომბინატის საწარმოთა შრომითი კოლექტივების მიღწევები. როგორც კომბინატის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, გარკვეული წვლილი ამ საპატიო საქმეში თვალსაჩინო აგიტაციასაც მიუძღვის. თვალსაჩინოების გაუმჯობესების საკითხი არაერთხელ განიხილეს პარტკომის სხდომაზე, აგრეთვე პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. შედგენილია თვალსაჩინო აგიტაციის გაუმჯობესების პერსპექტიული გეგმა.

ჩვენ დავათვალიერეთ ბამბეულის კომბინატის გამომყვანი ფაბრიკის თვალსაჩინოება. აქ საინტერესოა და თავისი ოპერატიულობით ყურადღებას იპყრობს „ელვაფურცლები", რომლებიც პერიოდულად გამოდის და უმთავრესად წარმოების მოწინავე მშრომელებს ეძღვნება. აი ერთი მათგანი: აქ ასახულია შეჯიბრებაში გამარჯვებული მუშათა ოჯახის წარმატება. ელვაფურცელში ვკითხულობთ: „წერუაშვილი ივანე, შვილი — წერუაშვილი სერგო, ცოლი — წერუაშვილი მარიამი (გამომყვანი წარმოების ერთ-ერთი მოწინავე მუშათა დინასტია) სოციალისტური ვალდებულებების ვადაზე ადრე და ხარისხიანად შესრულებისათვის დაჯილდოებული არიან ფულადი პრემიით და გამოეცხადათ მადლობა". მეორე ელვაფურცელში მამა-შვილ ყარამან და ნანული მაისურაძეებს გეგმის გადაჭარბებით შესრულებას და ნანულის დაბადების დღეს ულოცავენ.

წარმოებაში არის მოწინავე კომკავშირელთა ფოტოსტენდი და პოპულარული კომკავშირული პროჟექტორის სატირული დაფა „შოლტი". კომკავშირული პროჟექტორის „შოლტში" გაკიცხული იყო საამქროს ერთი დანადგარის ანტისანიტარული მდგომარეობა და ზოგიერთი ახალგაზრდა მუშის სამუშაოზე დაგვიანება, რის შედეგადაც მოხდა შესაბამისი რეაგირება. როცა ჩვენ გამომყვანი საწარმოს პარტბიუროს მდივანთან ზ. ძირტკბილაშვილთან ერთად მივედით აღნიშნულ დანადგართან, იქ უკვე სისუფთავე სუფევდა. წარმოების გამგემ ზ. ბიჩინაშვილმა კი წინათ „შოლტში" სამუშაოზე დაგვიანებისათვის გაკრიტიკებულ თ. ჯინჯიხაშვილი და ე. ევნატიშვილი დაახასიათა, როგორც ამჟამად დისციპლინიანი და შრომის მოწინავე მუშაკები. ფაბრიკის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ მოქმედი ოპერატიული თვალსაჩინოება კარგ დახმარებას უწევს მათ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის პრობლემის გადაწყვეტაში, რაც თავისთავად, ცხადია, ხელს უწყობს საწარმოო გეგმების უკეთ შესრულებას.

მაგრამ თვალსაჩინოების მდგომარეობა ბამბეულის კომბინატში ყველგან რიგზე არ არის. ზოგან გვხვდება დაბალ ესთეტიკურ და მხატვრულ დონეზე გაფორმებული მშრომელთა ვალდებულებანი, მოწოდებები და ლოზუნგები. ისინი ძნელად იკითხება და არავის არ იზიდავს, რაც ფორმალიზმს ესაზღვრება. აქ ნაკლები ყურადღება ექცევა მშრომელთა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას თვალსაჩინოებაში.

იმის მაგივრად, რომ კომბინატის კულტურის სახლი გახდეს მშრომელთა მოწინავე გამოცდილების კერა, იქ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა ერთ პორტრეტსაც კი ვერ ნახავთ. მართალია, 1975 წლისათვის კულტურის სახლის კინომოყვარულთა წრემ (გამგე შ. გოდერძიშვილი) მოამზადა სცენარი და გამოუშვა კინოფილმი: „შენთვის სამშობლოვ, ჩვენი თამკვრელური შრომა", მაგრამ მის შემდეგ თვითკმაყოფილებას მიეცნენ და არაფერი მსგავსი არ შექმნილა.

რა თქმა უნდა, კომბინატის პარტიულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ თვალსაჩინოების საკითხს. კარგი დადგენილებები და გეგმები, რომლებიც ესოდენ ბევრია კომბინატში მიღებული თვალსაჩინოების შესახებ, აუცილებლად საჭიროებს შესრულების ორგანიზაციას და კონტროლს, ცოცხალ და ოპერატიულ ხელმძღვანელობას, რათა პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ავიყვანოთ ბამბეულის ქსოვილების კომბინატში თვალსაჩინო აგიტაციის მდგომარეობა.

მთლიანად გორში თვალსაჩინო აგიტაციის მკვეთრად გაუმჯობესების საქმეში, მისი ემოციური გამომსახველობისა და ქმედითობისათვის ბევრი აქვს გასაკეთებელი საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტთან არსებულ მეთოდიკურ საბჭოსაც.

ამ რევოლუციური ტრადიციების ქალაქს მის ღირსშესანიშნაობებთან ერთად აუცილებლად უნდა ამშვენებდეს წარჩინებულ ადამიანთა პორტრეტები. უპირველეს ყოვლისა ხომ ეს ადამიანები არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მშრომელები, ჩვენი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები, სწავლაში და შრომაში წარჩინებული ახალგაზრდები, ან საბჭოთა არმიაში ქალაქიდან გაწვეული ის მეომრები, რომლებიც ფხიზლად დგანან კომუნიზმის მშენებელთა მშვიდობის სადარაჯოზე.

გ. პაიჭაძე.

## ორსკელთა მაგალითით

რუსთავი. (საქ. კორ.). კომპლექსური მიდგომა — აღზრდის სტრატეგია. — ამ თემაზე რუსთავში გაიმართა სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია.

იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობას შეეხო თავის მოხსენებაში ჟურნალ „პარტიული სიტყვის" რედაქტორი დ. კაკაბაძე. მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე № 1 სამშენებლო ტრესტის პარტკომის მდივნის მოადგილემ კ. ლეკვეიშვილმა, ქიმიური ქარხნის პოლიტკაბინეტის გამგემ ი. მაჭარაშვილმა და სხვებმა.

კონფერენცია მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა, ჟურნალ „პარტიული სიტყვის" რედაქციამ და პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა.

**ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე ხაზგასმით ითქვა: სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ცალკეულ რეგიონებში ჩვენთან სათუო ხდება საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმების შესრულება. სამშენებლო ორგანიზაციებში საჭიროა უფრო მტკიცე წესრიგი და უფრო მკაცრი მომთხოვნელობა.**

**სწორედ ერთი გაჭიანურებული და უპასუხისმგებლოდ აშენებული შენობის შესახებ მოგვითხრობთ ეს წერილიც.**

# მუშა ბინას ელოდება

### ერთი გაჭიანურებული მშენებლობის გამო

□

შორაპნის ელექტროელემენტების ქარხანაში ღამის ორ საათზე ამთავრებს ცვლა მუშაობას. კონვეიერებთან და დაზგებთან მომუშავე 450 მუშიდან ნახევარზე მეტი 10-15 კილომეტრით დაშორებულ სოფლებში ცხოვრობს. სამწუხაროდ, ქარხნის ოთხი ავტობუსი ვერ უზრუნველყოფს მუშების დროულად შინ მიყვანას, რაც შრომით დაღლილი ადამიანების უკმაყოფილებას იწვევს, უარყოფითად მოქმედებს დისციპლინაზე, შრომის ნაყოფიერებაზე, ეს კი საბოლოო ანგარიშით თავის კვალს ტოვებს და განაპირობებს საწარმოში მუშახელის დენადობის მაღალ კოეფიციენტს.

ამ ობიექტური სიძნელის თავიდან აცილების მიზნით, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს სუსტი დენის წყაროების სამმართველომ გადაწყვიტა შორაპნელი მეელემენტეებისათვის აეშენებინა საცხოვრებელი მიკრორაიონი — ოთხი 50-ბინიანი სახლი, საბავშვო ბაგა-ბაღი და სხვა დამხმარე ნაგებობანი.

სამწუხაროდ, მდინარე ძირულის სანაპიროზე საცხოვრებელი მიკრორაიონის მშენებლობისათვის ფეხბურთის პატარა მოედნის ტერიტორია გამოიყო, ამის გამო მიკრორაიონისათვის შედგენილი პროექტი გაუქმდა და მხოლოდ ერთი 50-ბინიანი სახლის აშენება გადაწყდა.

ეს იყო ხუთი წლის წინათ. მას შემდეგ ქარხნის დირექციას, ქუთაისის სახლთსაშენებელ კომბინატსა და გორის სარაიონთაშორისო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს შორის მიმოწერის შედეგად ათობით საქაღალდე გაივსო. როგორც იქნა, სახლის მშენებლობა თითქმის დამთავრდა, მაგრამ მისი ფანჯრებიდან შუქი არავის დაუნახავს.

გასული წლის იანვარში რუბრიკით „ვუბრუნდებით დაბეჭდილს", მკითხველებს გავაცანით ამ უიღბლო სახლის ამბავი წერილში „უთავბოლოდ გაჭიანურებული მშენებლობა". პარტიის ზესტაფონის რაიკომი სასწრაფოდ გამოეხმაურა წერილს და პასუხიც აცნობა რედაქციას, რომ გაზეთის კრიტიკული გამოსვლა სწორი იყო. დაბოლოს, პასუხში ვკითხულობთ:

**„რადგან აღნიშნულ მიკრორაიონში მთლიანი კომპლექსის მშენებლობა ჭერჭერობით არ ხორციელდება, ამიტომ ახალი პროექტით წყალდამცავი ჯებირისა და კომუნიკაციების აგება მხოლოდ ერთი 50-ბინიანი სახლის საჭიროებისათვის იქნა გათვალისწინებული, რისთვისაც 1977 წელს გამოყოფილი 220 ათასი მანეთი გორის სარაიონთაშორისო სამმართველოს გეგმაში შეიტანეს.**

**ამჟამად აღნიშნული სახლის მშენებლობა განახლებულია და მისი დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ბოლოსათვის".**

კეთილი და პატიოსანი. გავიდა დათქმული ვადა, აგერ 1978 წლის ნახევარიც იწურება, მაგრამ ქარხნის მუშებს ახალმოსახლეობა არ უზეიმიათ.

— ეს უბრალოდ მოტყუილება კი არა, მთელი კოლექტივის აბუჩად აგდებაა, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ცვლის ოსტატმა ვახტანგ ფერაძემ, — მე, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხიდან დავდივარ სამუშაოდ, ყოველდღიურად 25 კილომეტრი მანძილის გავლა მიხდება. თუ უგზოობასაც გავითვალისწინებთ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ რთულ პირობებში დიდხანს შეძლო მუშაობა. ახლა თვითონ განსაჯეთ, რა დღეში იქნებიან ქალები, რომლებიც ჩვენი კოლექტივის თითქმის 70-80 პროცენტს შეადგენენ.

ამავე აზრისანი არიან ქარხნის მუშები ს. გოგლიჩიძე, გ. სხილაძე და სხვები, რომელთაც ახალ სახლში ბინებს ჰპირდებიან და რომლის დამთავრებასაც საშველი აღარ დააყენა ქუთაისის სახლთსაშენებელმა კომბინატმა. ასე შორაპნელი მუშები ლაპარაკობენ, თორემ ქუთაისელმა სახლმშენებლებმა წყლისპირას აღმართული ეს სახლი გასული წლის 29 დეკემბერს ჩააბარეს დამთავრებულად. მართალია, საწარმოს ხელმძღვანელობამ სახლი საექსპლოატაციოდ არ ჩაიბარა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩაუტარებლობის გამო, მაგრამ, როგორც ეტყობა, მშენებლებს ეს არ აწუხებთ.

ამ დღეებში მოვინახულეთ მშენებლობა. იქ მხოლოდ ოსტატი-ინჟინერი იჯ. კახიძე დაგვხვდა. მასთან ერთად დავათვალიერეთ ბინები. მართლა ძალიან უნდა უჭირდეს ადამიანს, რომ მასში ღამის გასათევად შევიდეს, თორემ კომფორტზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სართულშორის უსწორმასწორო გადახურვებზე დაგებული და აფუყული ლინოლეუმი თავისუფლად გავლის საშუალებას არ იძლევა, ნახევრად დაუმაგრებელი შემინული ჩარჩოები ოთახებსშორის ტიხრებად გამოუყენებიათ. თუმცა ტიხრის მოვალეობას ისინი სრულებითაც ვერ ასრულებენ. მშენებლებს სააბაზანოებში აბაზანებიც დაუდგამთ და საშხაპეებიც, მაგრამ, რად გინდა, არც ცივი წყალი მოდის და არც ცხელი.

ამ მდგომარეობამ შეაწუხა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაკები და სპეციალური კომისია გამოიყო. 19 მაისით დათარიღებულ მათ მიერ შედგენილ აქტში ვკითხულობთ, რომ შარშან დამთავრებულად ნაჩვენებ სახლში ახლაც დაუმონტაჟებელია ელექტროსატრანსფორმატორო ჯიხური, [illegible] გაზის გადამცემი ხაზი. პროექტით გათვალისწინებული ცხელი წყლის ქვაბი, სატელეფონო, რადიოგადამცემი [illegible] მინდი ნაგებობის მშენებლობა, [illegible] მშენებლობა. ეზო კეთილმოუწყობელია, არ არის გამწვანებული, რაც მთავარია, დამთავრებული არ არის წყალდამცავი ჯებირის მშენებლობა, რამაც მდინარის ადიდების დროს შეიძლება დიდი უსიამოვნება და უბედურებაც კი მოუტანოს მობინადრეებს.

გასული წლის დეკემბერში დამთავრებულად ნაჩვენებ სახლში სიცოცხლეს დღემდე არ დაუსადგურებია, მისი ფანჯრებიდან როგორც ზევით აღვნიშნეთ, შუქი ჯერ არ გამოსულა. ეს ამბავი კი სულაც არ აწუხებს ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატის დირექტორს რ. ბეჟუაშვილს და გორის სარაიონთაშორისო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს ლ. ინაურს. ზესტაფონის რაიონის ხელმძღვანელობის ყოველგვარი ცდა, ბოლო მოეღოს ასეთ უთავბოლობას, უშედეგოა, რადგან სამშენებლო და დამკვეთი ორგანიზაციები მათ არ ემორჩილებიან, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მუშაკები ამ აღმაშფოთებელ ფაქტს ჭერჭერობით გულდამშვიდებით უყურებენ.

ვიმედოვნებთ, რომ ეს საგანგაშო სიგნალი ახლა მაინც აღარ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.



## ბოსტნეულის ფაბრიკა

**ვანის რაიონის მეურნეობების მშრომელები, რომლებმაც გადალახეს წყალდიდობის შედეგად შექმნილი სიძნელეები, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა წარმატებით შეასრულონ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებები და პირობას დებენ, რომ ხუთწლედის მესამე წელს სახელმწიფოს 67.500 ცენტნერ სხვადასხვა ბოსტნეულს ჩააბარებენ.**

**ვანის რაიონში უმსხვილესი მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა ბოსტნეულის ნამდვილ ფაბრიკად გადაიქცა. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი პირობას დებს, რომ წელს ბოსტნებიდან დახლებზე გაგზავნის გეგმით გათვალისწინებული 3,5 ათასი ტონის ნაცვლად 4 ათას ტონა პროდუქციას. სურათზე: ვანის საბჭოთა მეურნეობაში კომბოსტოს აღება (ზემოთ): ბრიგადირი ე. ძიგვაშვილი და მუშა ნ. კორძაძე ამოწმებენ კომბოსტოს ხარისხს; მიმდინარე წლიდან საბჭოთა მეურნეობაში ხახვის მოყვანა მთლიანად მექანიზებულია. ამჟამად ახალი ნათესების კულტივაცია მიმდინარეობს.**



ი. ჰოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

### ოფიციალური განყოფილება

# ზრუნავენ მშრომელი ქალისათვის

გაიმართა რესპუბლიკური ქალთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მშრომელ ქალთა შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების საზოგადოებრივი დათვალიერების ხელმძღვანელობის კომისიის გაერთიანებული სხდომა.

მოხსენება, ინფორმაციები საზოგადოებრივი დათვალიერების მსვლელობის შესახებ გააკეთეს ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. პოლოლიკაშვილმა, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ გ. ბერძენიშვილმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს შრომის დაცვის განყოფილების გამგემ ი. ვადოემ.

დედათა და ბავშვთა სანატორიულ-საკურორტო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ დამსწრეთ ესაუბრა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი ლ. მუსერიძე.

სხდომაზე აღინიშნა ის დიდი ზრუნვა, რომელსაც რესპუბლიკაში იჩენენ მშრომელთა შრომის პირობების, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის გაუმჯობესებისათვის. საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავეს შრომის პირობებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გაუმჯობესების 1976-1980 წლების ხუთწლიანი კომპლექსური გეგმები. რუსთავის ქიმიურ და ქიმიური ბოჭკოს ქარხნებში 1977 წლისა და 1978 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში შრომის მძიმე და მავნე პირობებში და ღამის ცვლებში მუშაობისაგან მრავალი ქალი გაათავისუფლეს. საამქროებში, სადაც დაგაზიანება და მტვრიანობა გადიდებულია, დამატებით დადგეს 50-ზე მეტი სავენტილაციო დანადგარი. დიდ მუშაობას ეწევიან ქალების შრომის პირობების, ყოფისა და დასვენების გაუმჯობესებისათვის ქუთაისის ტექნიკური რეზინის ნაწარმის ქარხანაში, ლითოპონის ქარხანაში, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასა და სხვა საწარმოებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დედათა და ბავშვთა დასვენების ორგანიზაციას.

(საქინფორმი).

# უცხოელ ტურისტთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უცხოეთის ტურიზმის სამმართველომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „უცხოელ ტურისტთა კულტურულ-სანახაობითი მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

დადგენილებაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკის საზღვარგარეთელი სტუმრებისათვის მოწყობილ კულტურულ-სანახაობითს ღონისძიებათა რაოდენობა, ამაღლდა საკონცერტო პროგრამების იდეურ-მხატვრული დონე. კულტურული მომსახურების პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფოლკლორულ კონცერტებს.

მაგრამ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სრულად არ გამოიყენება უცხოელ ტურისტთა კულტურულ-სანახაობითი მომსახურების შემდგომში გაუმჯობესების შესაძლებლობანი. კერძოდ, იშვიათად ეწყობა თეატრალიზებული წარმოდგენები, მასობრივი სახალხო სეირნობანი, ხალხური მუსიკისა და ცეკვის ფესტივალები.

უცხოელ ტურისტთა კულტურულ-სანახაობითი მომსახურების მთავარი ამოცანაა, ნათქვამია დადგენილებაში, მისი მასშტაბის შემდგომი გაფართოება, ღონისძიებათა შინაარსის განუხრელი სრულყოფა და საშემსრულებლო ოსტატობის დონის ამაღლება.

(საქინფორმი).

### 512 ათასი ტონა ყურძნისათვის

# სტიქიას არ ეპუებიან

### გურჯაანელები ასე ზრუნავენ ზვრების გადასარჩენად

**ჩვენი** რესპუბლიკის მევენახეების წლევანდელი ვალდებულების — 512 ათასი ტონა ყურძნის თითქმის მეხუთედი გურჯაანის რაიონის წილად მოდის. ამიტომ, ბუნებრივია, აქაურ მეზვრეთა წარმატებაზე დიდად არის დამოკიდებული ამ მაღალი მიჯნის მიღწევა.

ეს პასუხსაგები ამოცანა რომ კარგად ესმით გურჯაანში, ნათლად გამოჩნდა ვენახების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე.

ამ ღონისძიების სანიმუშო ორგანიზაცია იმანაც განაპირობა, რომ წლეულს დათვალიერების მოწყობაში წინა წლების ნაკლოვანებები აღარ განმეორებულა. გასულ წლებში მაგალითად, 6-7 რაიონული კომისიიდან თითოეული დღეში 3-4 მეურნეობის ზვრებს ათვალიერებდა და დასკვნას მთავარ კომისიას წარუდგენდა. ასეთი ზერელე დათვალიერებით ბრიგადების მიხედვით ყველა ნაკვეთის მდგომარეობა რეალურად ვერ ფასდებოდა. ეს კი ფორმალიზმს ამკვიდრებდა შეჯიბრების შედეგების შედარებაში.

ყოველივე ეს წლეულს დათვალიერების ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს. ყველა მეურნეობაში შეიქმნა კომისიები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. მათ დეტალურად შეისწავლეს ცალკეულ ნაკვეთებში შესრულებული სამუშაოების ხარისხი, დღის ბოლოს კი შედეგები ზომების მისაღებად განიხილეს პარტიული კომიტეტის, ადმინისტრაციის, პროფკომის და კომკავშირის კომიტეტის გაფართოებულ სხდომებზე; დათვალიერების დღესვე შეჯამდა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. გამარჯვებულები დააჯილდოვეს, ხოლო ჩამორჩენილები გააკიცხეს. მაგალითად, ვაზისუბნის კოლმეურნეობაში დათვალიერების შედეგების მიხედვით „ხუთიანზე" შეფასდა იმ ბრიგადების ვენახები, რომლებსაც გ. ჯავახიშვილი, ნ. დოიძე, ს. პაიჭაძე და თ. კობახიძე ხელმძღვანელობენ. ბრიგადები და რგოლები დაჯილდოვდნენ გარდამავალი წითელი დროშებით, ექსკურსიების საგზურებით და 100-დან 500 მანეთამდე ფულადი თანხით.

შრომის მეურნეობაში, რომლის ვენახებმა საერთო დაბალი შეფასება დაიმსახურა, საგაზაფხულო სამუშაოების უხარისხოდ შესრულების და მუშახელის არასრულად გამოყენებისათვის მკაცრად გააფრთხილეს ბრიგადირები ი. კარელიშვილი, თ. საყვარლიშვილი, გ. ჩეკურიშვილი, ი. დალაქიშვილი და სხვები.

ასეთი ყურადღებით, ასეთი პრინციპულობით ხუთბალიანი სისტემით შეფასდა დათვალიერებაზე თითოეული მევენახის, რგოლის ხელმძღვანელის და ბრიგადირის შრომა.

სწორედ ამის გამო იყო, რომ დათვალიერების შემაჯამებელ თათბირზე, რომელიც ნატო ვაჩნაძის სახელობის კინოთეატრის დარბაზში გაიმართა, ასობით მევენახე მოუთმენლად ელოდა შრომითი მეტოქეობის შედეგების საჯარო შეფასებას.

შეფასება კი იყო კომპეტენტური, ობიექტური, სარწმუნო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მუშაობის ხარისხს — საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მთავარ ფაქტორს; ხარისხისათვის პასუხისმგებლობა კი დაეკისრათ სამუშაოთა უშუალო შემსრულებლებს, მათ მეთაურებს — რგოლის ხელმძღვანელებსა და ბრიგადირებს. სულ შეფასდა 236 ბრიგადის ვენახი, რომელთაგან 190-მა „ხუთი" დაიმსახურა, 22-მა „ოთხი", ხოლო 24-მა „სამი".

ფრიადოსანთა შორის არიან ბრიგადირები ნ. ქევხიშვილი, ი. ყამბარაშვილი, გ. რუაძე, ა. შიაშვილი, ვ. დათუაშვილი, შ. ჯავახიშვილი, შ. სამადაშვილი, გ. ტყავაშვილი, თ. შაქიაშვილი და ათობით სხვა. ისინი ტოლს არ უდებენ სახელგანთქმულ ბრიგადირებს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს გ. კენკიშვილს და სოციალისტური შრომის გმირს ქ. ბურდიაშვილს.

საზოგადოებრივი მეურნეობებიდან უმაღლესი შეფასება დაიმსახურა ვეჯინის, ვაზისუბნის, ველისციხის, ჩუმლაყის, ბაკურციხის, ჯიმითის, მელაანის ზვრებმა. ამასთან თათბირზე დასახელდნენ ისეთი მეურნეობებიც, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს შრომის სწორი ორგანიზაცია, გააჭიანურეს ვაზის წამლობა, უხარისხოდ დაამუშავეს ნიადაგი. ასეთ კატეგორიაში მოხვდნენ გურჯაანის და შრომის საბჭოთა მეურნეობები. მათ ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ 27 მაისამდე აღმოეფხვრათ ვენახების მოვლაში არსებული ჩამორჩენა. ამ მეურნეობათა შრომითი კოლექტივების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დღეისათვის მათ ზვრებში ჩამორჩენა დაძლეულია.

დათვალიერების შედეგია, რომ ახლა რაიონის ვენახებში მოუვლელს ვერც ერთ ნაკვეთს ვერ ნახავთ. თვალს ახარებს საგულდაგულოდ ნალოლიავები ზვრები.

ეს წარმატებები მოჰყვა იმას, რომ სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებს რაიონის პარტიული ორგანიზაციები ეხმარებიან სწორად დასახონ მიჯნები, გამოავლინონ წინსვლისა და ჩამორჩენის მიზეზები; ყველა მევენახეს უქმნიან საჭირო პირობებს იმისათვის, რომ სრულად გამოიყენონ თავიანთი შემოქმედებითი უნარი, რათა მოწინავეთა გამოცდილება საერთო წარმატების საფუძველი გახდეს.

— წლევანდელი გაზაფხულის არახელსაყრელი ამინდის პირობებში ვენახების მოვლა-პატრონობის მაღალი დონე, — თქვა ჩვენთან საუბარში პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ეცადაშვილმა, — იმან განაპირობა, რომ მეურნეობებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად სამუშაოთა ზუსტი გრაფიკების საფუძველზე რაციონალურად მოეწყო თითოეული მუშაკის შრომა; ვენახებში ოპტიმალურად იყენებენ ტექნიკას, სასუქებს, მეცნიერების მიღწევებს. ყოველივე ამან გააძლიერა სამუშაოთა ტემპი. მაგალითად, ველისციხის კოლმეურნეობაში შარშან ვენახის ერთჯერად წამლობას 5-6 დღე სჭირდებოდა, წლეულს კი მანქანა-დანადგარების მაქსიმალური დატვირთვის შედეგად ეს სამუშაო 2-3 დღეში შესრულდა. გამოთავისუფლებულ კოლმეურნეებს შესაძლებლობა მიეცათ დახმარებოდნენ შრომის საბჭოთა მეურნეობის და არაშენდის კოლმეურნეობის მევენახეებს.

წლეულს ბევრი სიახლე ინერგება გურჯაანელთა ზვრებში. საყურადღებოა ჩუმლაყელთა და კაჭრეთელთა გამოცდილების მასობრივი გავრცელება მეურნეობებში, რაც გულისხმობს ვენახის მწკრივთაშორისებსა და ვაზის ძირებში ნიადაგის სათოხარით დამუშავებას;

მუკუზნელები, და არა მარტო ისინი, თავიანთ ვენახებში ნერგავენ ვაზის ყლორტის დაჩქარებული ზრდის მეთოდს, რომლის გამოყენებითაც შარშან რაიონის ბევრმა მეურნეობამ ვენახის გაშენებიდან 2 წლის შემდეგ 60-70 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ჩვეულებრივ კი ამ ასაკის ვენახებიდან, საერთოდ, მოსავლის მიღებაზე არც კი ფიქრობენ ხოლმე.

ჩუმლაყელთა თაოსნობით თითქმის ყველა მეურნეობაში ვრცელდება ინდივიდუალური მიდგომით, 40-50 სანაყოფე კვირტის დატოვებით, ვაზის დატვირთვის პროგრესული ხერხი. ეს მეთოდი 100-120 ცენტნერი მოსავლის გარანტიას იძლევა.

— ჩვენმა მეზვრეებმა უამინდობის პირობებშიც მოიცალეს შპალერის რეკონსტრუქციისათვის. — გვითხრა ჩუმლაყელთა თავკაცმა გ. უტიაშვილმა, — შპალერის პირველი მავთული ავამაღლეთ 80-90 სანტიმეტრამდე, რითაც თავიდან ავიცილეთ კულტივატორის დგარებით ყურძნის მტევნების დაზიანების საშიშროება და ვაზის ჰაერაციაც გავაძლიერეთ; ზამთარში ნიადაგი ღრმად გავაფხვიერეთ ტენის უკეთ დაგროვებისა და ფესვთა სისტემის ჰაერაციის გაუმჯობესების მიზნით, მოსავლიანობის გასადიდებლად ვენახში სასუქები გაზრდილი დოზით შევიტანეთ.

უდავოა, აგროტექნიკის ზუსტად დაცვით, მისი შემოქმედებითად განვითარებით გურჯაანელებმა წარმატებებს მიაღწიეს ვენახების სამუშაოთა პირველ ეტაპზე, მაგრამ მიღწევები აგრეთვე შედეგია იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ბოლო წლებში რაიონში განხორციელდა წარმოების უშუალო ხელმძღვანელთა — ბრიგადირების, განყოფილებათა გამგეების და წარმოების საშუალო რგოლის სხვა ხელმძღვანელი კადრების უკეთ შერჩევისა და განაწილებისათვის. ამ კატეგორიის კადრებთან მუშაობის საკითხი რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუდმივი ყურადღების ცენტრშია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ერთი წლის მანძილზე წარმოების საშუალო რგოლის ხელმძღვანელად 50-ზე მეტი მუშაკი დაწინაურდა, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ და ორგანიზატორული ნიჭიც გამოავლინეს.

ეს დროის მოთხოვნას შეესაბამება, ვინაიდან დღეს გურჯაანის რაიონში 50-ზე მეტია ისეთი ბრიგადა, რომელთაგან თითოეული იმდენ პროდუქციას აწარმოებს, რამდენსაც ერთად აღებული კოლაგისა და ბაკურციხის ყოფილი კოლმეურნეობები. ამიტომ მეტად საჭირო და მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს ბრიგადირთა სემინარები, საქმიანი შეხვედრები, შეკრებები, კონკურსები, ექსკურსიები, რომლებიც ხშირად ეწყობა გურჯაანში. ბოლო წლებში ვენახებში მასობრივად შენდება საბრიგადო სახლები, ხოლო კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყო ბრიგადირების სკვერი. სადაც გამოფენილია რაიონის მოწინავე ბრიგადირების ფოტოსურათები.

სწორედ ეს ღონისძიებები დაეხმარა წარმოების საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს პირნათლად შეხვედროდნენ ვენახების რესპუბლიკურ დათვალიერებას.

და აი, დათვალიერების შემდეგ, როცა ვაზის ვეგეტაციის ამ ეტაპზე რაიონის მევენახეთა დიდი და დაძაბული შრომის შედეგად მოპოვებული იყო მნიშვნელოვანი წარმატებები, გურჯაანელთა ზვრებს ბუნების რისხვა დაატყდა. სტიქიამ სერიოზულად დააზიანა 1.454 ჰექტარი ვენახი. მაგრამ სტიქიამ ვერ დააცხრო შრომითი ენთუზიაზმი. მევენახეები, საწარმო-დაწესებულებათა მშრომელები, მეცნიერი მუშაკები ხელიხელჩაკიდებულნი იბრძვიან მიყენებული ზარალის მინიმუმამდე შემცირებისათვის.

იმათ შორის, ვინც განსაცდელის ჟამს მევენახეებს მხარში ამოუდგა, თავი გამოიჩინეს ღვინის საწარმოო გაერთიანების ქარხნების, სამკერვალო ფაბრიკის, პოლიკლინიკა-საავადმყოფოს გაერთიანების შრომითმა კოლექტივებმა. კოლმეურნეებს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს დასეტყვილი ზვრების მოვლა-პატრონობის შესახებ კონსულტაციები გაუწიეს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა. მთელი რაიონი ფეხზე დადგა მოსავლის რაც შეიძლება დიდი ნაწილის გადასარჩენად. ნასეტყვ ვენახებში დროულად გასხლეს ვაზი ნაწილობრივ, შეცვალეს დაზიანებული ყლორტები, შეასხურეს ბორდოს სითხე. დღეისათვის რაიონის ზვრებში მთლიანად დამთავრებულია მე-5 წამლობა, ხოლო 6.000 ჰექტარზე — მეორე ფურჩნა-ახვევა; ყველა ღონისძიება ხორციელდება, რომ ვაზს აღუდგეს მაქსიმალური მოსავლის მოცემის პირობები. დიდი მოსავლისათვის ბრძოლა გრძელდება.

ვ. კასრაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

# საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

**გაიმართა** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი. თავმჯდომარეობდა ა. კარანაძე. რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის გ. დევდარიანის მოხსენებასთან დაკავშირებით პლენუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 25 თებერვლის დადგენილება მოქმედი წესების დარღვევით აშენებული სახლების ჩამორთმევის საქმეთა სასამართლო განხილვის დროს კანონმდებლობის გამოყენების შესახებ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საქართველოში მკვეთრად შემცირდა საცხოვრებელი სახლების უნებართვოდ მშენებლობის ფაქტები, რასაც ხელი შეუწყო ამ კატეგორიის საქმეებზე სასამართლოების მიერ სწორი გადაწყვეტილებების გამოტანამ. ამავე დროს, აღინიშნა პლენუმზე, რესპუბლიკის სასამართლოები ამგვარ საქმეთა განხილვის დროს ყოველთვის არ არკვევენ საცხოვრებელი სახლების აშენებასთან დაკავშირებულ გარემოებებს, იშვიათად გამოაქვთ კერძო განჩინებანი, როცა მოქალაქენი უკანონოდ ეპატრონებიან მიწის ნაკვეთებს, აშენებენ იქ სახლებს, და როცა ადგილობრივი ორგანოები არადამაკმაყოფილებელ კონტროლს უწევენ ინდივიდუალურ მშენებლობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ა. სულავას მოხსენების გამო პლენუმმა განიხილა რეციდივულ დამნაშავეობასთან სასამართლოების ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა. უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის სასამართლოებმა გააუმჯობესეს ასეთი საქმეების გარჩევა. მაგრამ, როგორც პლენუმზე აღინიშნა, სასამართლოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა არსებითი ხასიათის შეცდომები, რაც ანელებს რეციდივული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას. ზოგიერთ სასამართლოს რამდენჯერმე ნასამართლევი დამნაშავეებისათვის უსაფუძვლოდ გამოაქვს ლმობიერი განაჩენი.

მოხსენება სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო წესით განხილვის პრაქტიკის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ი. ჟორდანიამ.

პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ერთგვარად გაუმჯობესდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოთა მუშაობა და ამასთან დიდი ყურადღება დაუთმეს ნაკლოვანებებს, რომელთა აღმოფხვრა ნელი ტემპით მიმდინარეობს. კერძოდ, საკასაციო სასამართლოები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ ქვემდგომი სასამართლოების მიერ დაშვებულ შეცდომათა სრულ გამოსწორებას, რის გამოც მათი გადაწყვეტილებანი შემდგომში უქმდება ან იცვლება ზედამხედველობის წესით.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

პლენუმმა აგრეთვე განიხილა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გამო გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ჭილაშვილი და რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთაშორისო ცხოვრება

პლანეტა დღეს · პლანეტა დღეს · პლანეტა დღეს

● საქდესი იტყობინება

## აქტუალური, მნიშვნელოვანი ინიციატივები

ნიუ-იორკი, 13 ივნისი (საქდესი). მსოფლიო საზოგადოებრიობა მაღალ შეფასებას აძლევს კონსტრუქციულ ინიციატივებსა და წინადადებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ გამალებული შეიარაღების ალაგმვას. ეს ინიციატივები და წინადადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალურ სესიაზე წამოაყენეს საბჭოთა კავშირმა, მოძმე სოციალისტურმა ქვეყნებმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტ-რივერის შტაბ-ბინაში შეკრებილი მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენლები ამ წინადადებებს უწოდებენ კონკრეტულ წვლილს ბირთვული ომის თავიდან აცილების, განიარაღების საქმეში.

„განიარაღების კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, დიდ ყურადღებასა და გულდასმით შესწავლას იმსახურებენ, — განაცხადა საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა კანონიკოსმა რ. გოორმა (ბელგია). — უწინარეს ყოვლისა მივესალმებით იმას, რომ ეს ინიციატივები ეკუთვნის იმ სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც ყველაზე აქტიურად იბრძვის გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის. მიგვაჩნია, რომ ეს კონკრეტული, აქტუალური, მნიშვნელოვანი ინიციატივებია, რომლებსაც უფართოესად დაუჭერს მხარს და მოიწონებს მსოფლიო საზოგადოებრიობა“.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო სავსებით მხარს უჭერს იმ ღონისძიებათა ზუსტ და კონკრეტულ პროგრამას, რომლებიც ითვალისწინებენ სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და პოლიტიკური დაძაბულობის შენელების შერწყმას, მშვიდობის განმტკიცებასა და ბირთვული ომის თავიდან აცილებას. ეს ღონისძიებანი დასახეს საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა, მიუმხრობელმა სახელმწიფოებმა და მთელმა მშვიდობისმოყვარე ძალებმა, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიის ტრიბუნიდან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა რ. ჩანდრამ. მან სასტიკად დაგმო ნატოს ქვეყნების მიერ გადიდებული სამხედრო მზადება, და პირველ რიგში, ნეიტრონული იარაღის წარმოების გეგმები. ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ მოძრაობამ, თქვა რ. ჩანდრამ, მსოფლიო კამპანიის მასშტაბები მიიღო და ყველაზე მძლავრი მოძრაობაა კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც მიმართულია მასობრივი მოსპობის რომელიმე იარაღის წინააღმდეგ. ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ მტკიცე პროტესტებს გამოთქვამენ ახლა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, რადგან ნეიტრონული იარაღის წარმოება და მისი განლაგება მნიშვნელოვანწილად გაადიდებს თერმოატომური ომის რისკს.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაში ვახდება შეუქცევადი, თუ იგი განმტკიცებული იქნება კონკრეტული ღონისძიებებით გამალებული შეიარაღების შეზღუდვის, საყოველთაო და სრული განიარაღების დარგში, ხაზი გაუსვა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა ე. ოტონემ.

### მოკლედ

## ყოველი მხრიდან

● ბონი. ბუნდესტაგის დეპუტატმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან გ. პენსკიმ შეშფოთება გამოთქვა დასავლეთ გერმანიაში ნეონაცისტური ელემენტების სულ უფრო მეტი აქტივიზაციის გამო. მან აღნიშნა, რომ არის ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ნეონაცისტები იარაღის ფარულ საწყობებს ქმნიან.

როგორც გ. პენსკიმ განაცხადა, ამ ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა ნეონაცისტების მიერ კირში ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შენობის აფეთქების გეგმები.

● ვაშინგტონი. ამერიკის ხელისუფალნი, საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად, აშკარად ხელს უწყობენ ნეონაცისტთა საქმიანობას ქვეყანაში. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ულტრამემარჯვენე ფაშისტური ორგანიზაციის წევრებს ნებას რთავს მოაწყონ მასობრივი დემონსტრაცია ჩიკაგოს ერთ-ერთ გარეუბანში.

● ტოკიო. იაპონიის ხელისუფლებსა და სამრეწველო წრეებს, რომლებიც სასწრაფო ღონისძიებებს ახორციელებენ გაკოტრებული ფირმის — „სასებო ძუკოგიოს“ გადასარჩენად, განზრახული აქვთ ამ კამპანიის შტატები კიდევ 4,5 ათასი კაცით შეამცირონ. აპრილში ფირმამ უკვე დაითხოვა 1.600 მუშა და მოსამსახურე.

## ს. ვენსის განცხადება

ვაშინგტონი, 13 ივნისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ს. ვენსმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ შეერთებული შტატები „არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს რომელიმე არაბირთვული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც ხელი მოაწერა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას ან იკისრა საერთაშორისო თვალსაზრისით შემბოჭავი რაიმე მსგავსი ვალდებულება არ შეიძინოს ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობანი. გამონაკლისი იქნება ის შემთხვევები, როცა შეერთებულ შტატებს, მის ტერიტორიას ან შეიარაღებულ ძალებს, ანდა მის მოკავშირეებს თავს დაესხმის ისეთი სახელმწიფო, რომელიც რომელიმე ბირთვული სახელმწიფოს მოკავშირეა ან რომელიმე ბირთვულ სახელმწიფოსთან არის დაკავშირებული ამ თავდასხმის განხორციელებასა თუ განვითარებაში“.

ამერიკის შეერთებული შტატების ეს ოფიციალური განცხადება, როგორც ჩანს, ითვალისწინებდა არაბირთვული სახელმწიფოების დადებითს გამოხმაურებას იმ საბჭოთა განცხადებაზე, რომ სსრ კავშირი საერთოდ ბირთვული იარაღის გამოყენების წინააღმდეგია და რომ მხოლოდ საგანგებო გარემოებამ, სსრ კავშირისა ან მისი მოკავშირეების წინააღმდეგ სხვა ბირთვული სახელმწიფოს აგრესიამ შეიძლება აიძულოს იგი, რომ მიმართოს თავდაცვის ამ უკიდურეს საშუალებას.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ ეხება ამერიკის ახალ განცხადებას და წერს, რომ ამერიკელ ოფიციალურ პირთა აზრით, „ეს დაპირება უმნიშვნელო პრაქტიკულ გავლენას მოახდენს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე ბირთვული იარაღის გამოყენებაში“. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ აზრით, განცხადების მთავარი მიზანია „სცადონ დაამშვიდონ განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბირთვული სახელმწიფოები ცდილობენ უარი ათქმევინონ მათ ბირთვული იარაღის შემუშავებაზე“.

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოების აზრით, ს. ვენსის განცხადება არავითარ გავლენას არ მოახდენს ამერიკის შეერთებული შტატების ვალდებულებებზე, ნატოს, სამხრეთ კორეის, ტაივანისა თუ ამერიკის შეერთებული შტატების სხვა მოკავშირეთა წინაშე.

## ახალი მანევრი

ბეირუთი, 13 ივნისი (საქდესი). ისრაელმა გამოაცხადა, რომ სამხრეთ ლიბანის ოკუპირებულ ტერიტორიებს დაუქვემდებარებს ლიბანის მემარჯვენე კონსერვატიული ძალების შეიარაღებულ ნაწილთა კონტროლს, რომლებთანაც აშკარად თანამშრომლობენ თელ-ავივის მმართველი წრეები.

ამ ნაბიჯს აქ აფასებენ, როგორც ისრაელის ახალ მანევრს, რომლის მიზანია სამხრეთ ლიბანში მისი სამხედრო ყოფნის ფაქტიური შენარჩუნება, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების აშკარა საბოტაჟს, რომლებიც მოითხოვენ ისრაელის ჯარების მთლიანად დაუყოვნებლივ და პირობადაუთქმელ გაყვანას ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

### წიგნები და მკითხველები

## დავეუფლოთ რუსულ ენას

გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა პროფესორ გიორგი წიბახაშვილის დამხმარე სახელმძღვანელო რუსული ენის შემსწავლელთათვის „რუსული ენის პრაქტიკული კურსი (გრამატიკული ცნობარითურთ)“. ეს არის ამ წიგნის მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა.

სახელმძღვანელოს აქვს, პრაქტიკული დანიშნულება. მისი მიზანია დაეხმაროს ქართველ ახალგაზრდობას რუსულ ენაზე ლაპარაკის პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებაში. ამ მიზანს ემსახურება წიგნში მოცემული გრამატიკული, ლექსიკური და ლიტერატურული მასალა. აღნიშნულ სახელმძღვანელოში გრამატიკული მასალის შესწავლისას ძირითადი ყურადღება ეთმობა რუსული წინადადების სწორად აგების წესებს, უხვად არის მოცემული ეგრეთ წოდებული მოდელები, ენობრივი ყალიბები, რომელთა მსგავსად შეიძლება აგებულ იქნეს ანალოგიური წინადადებები. ამისათვის საჭიროა მოსწავლემ აითვისოს და დაიხსომოს თვით მოდელები და ამ მოდელებში სიტყვების ჩასმის წესები.

წიგნში მოცემული ყველა გრამატიკული წესი უხვად არის ილუსტრირებული ლიტერატურული მასალით. აქ ვხედავთ დიალოგებს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თემაზე და პატარა მოთხრობებს. როგორც წესი, ტექსტებს თან ახლავს საჭირო სიტყვების ახსნა, რაც არა მარტო მოთხრობის შინაარსის გაგებას უადვილებს მკითხველს, არამედ ამდიდრებს კიდეც მის სიტყვათა მარაგს. გარდა ამისა, ტექსტებს თან ახლავს ზმნური მართვა ანუ მითითება იმის შესახებ, თუ რომელ ბრუნვას მოითხოვს ესა თუ ის ზმნა.

წიგნის ბოლოში ცნობარის სახით მოცემულია გამოთქმისა და მართლწერის ძირითადი დებულებანი და წესები. გარდა ამისა, მორფოლოგიური მასალა (ბრუნება, უღლება) კომპაქტურად არის წარმოდგენილი, ძირითადად, ტაბულების სახით, რაც თვალსაჩინოებას უწყობს ხელს და უადვილებს მოსწავლეს სწრაფად მოძებნოს საძიებელი ფორმა.

პროფესორ გ. წიბახაშვილის „რუსული ენის პრაქტიკული კურსი“, რომელშიც, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ყურადღება ეთმობა ისეთი მოვლენების გაშუქებას, რაც ქართული ენისათვის არ არის დამახასიათებელი (მაგალითად, რუსული ენის თვლის გრამატიკული სისტემა, გრამატიკული სქესი და სხვა), კარგ დახმარებას გაუწევს რუსული ენის შესწავლის მსურველებს.

გ. მახარობლიძე,
პროფესორი.

## სასარგებლო წიგნი

მძიმე ავადმყოფთა სასწრაფო გადაუდებელი თერაპია, შეიძლება ითქვას, ექიმის ყველაზე პასუხსაგები შრომაა. ასეთი მკურნალობის დროს ექიმის მიერ დაშვებული შეცდომა შესაძლებელია ავადმყოფისათვის საბედისწერო აღმოჩნდეს. ამიტომ ექიმი ზედმიწევნით კარგად უნდა ფლობდეს გადაუდებელი თერაპიის მეთოდებს და საქმის ცოდნით იყენებდეს მას.

ჩვენი რესპუბლიკის თერაპიულ ქსელში უკანასკნელი წლების მანძილზე ფართოდ დაინერგა სასწრაფო გადაუდებელი თერაპიის თანამედროვე ორგანიზაციული ფორმები, რომელთა შესახებ ორიოდე ათეული წლის წინათ რიგითი ექიმების უმრავლესობას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

„ინფარქტის ცენტრი“, „მწვავე დიალიზის ცენტრი“, „შოკის საწინააღმდეგო“, აგრეთვე „ტოქსიკოლოგიური ბრიგადები“ და, რაც მთავარია, რეანიმაციული განყოფილებები თანამედროვე ექიმს, წარსულთან შედარებით, განუზომლად დიდ საშუალებებს აძლევს თითქმის უიმედო ავადმყოფის გადარჩენისათვის.

ურგენტული ავადმყოფის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ინფარქტის ცენტრებმა, რომლებიც თერაპიისა და კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, აგრეთვე ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტის კარდიოლოგიის კათედრის ბაზებზეა შექმნილი.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი წვლილი, რომელიც ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის გადაუდებელი თერაპიის კათედრამ შეიტანა ჩვენს რესპუბლიკაში ურგენტული თერაპიის განვითარებისა და განსაკუთრებით საექიმო კადრების მომზადების საქმეში.

გადაუდებელი თერაპიის კათედრა, რომელსაც მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი გ. ადამია ხელმძღვანელობს, მისივე ინიციატივით ჯერ კიდევ 1960 წელს დაარსდა და დღეს იგი გადაუდებელი თერაპიის მძლავრი კერაა.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა პროფესორ გ. ადამიას წიგნი „შინაგან დაავადებათა გადაუდებელი დიაგნოსტიკა და თერაპია“, რომელიც კათედრაზე 17 წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებისა და მეცნიერული გააზრების შედეგია.

აღნიშნული წიგნი პირველი ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოა შინაგან დაავადებათა გადაუდებელ დიაგნოსტიკასა და თერაპიაში. ნაშრომი ძირითადად სასწრაფო სამედიცინო ქსელში და საექიმო უბნებზე მომუშავე ექიმი თერაპევტებისათვის არის განკუთვნილი, მაგრამ თავისი ხასიათითა და დანიშნულებით, აგრეთვე მასალის გადმოცემის სიღრმით, იგი ყველა პროფილის თერაპევტის სამაგიდო წიგნად იქცა.

წიგნში წარმოდგენილი დებულებების ფართო გამოყენება არაერთ ექიმს გამოიყვანს რთული სიტუაციიდან და განწირულ ავადმყოფს სიცოცხლესა და შრომის უნარს დაუბრუნებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორ გ. ადამიას წიგნის ტირაჟმა ვერ დააკმაყოფილა მკითხველთა ფართო მოთხოვნა.

გ. რაჭველიშვილი,
რესპუბლიკის მთავარი თერაპევტი.

## მტკიცე პროტესტი

ნიუ-იორკი, (საქდესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მტკიცე პროტესტი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მისიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება პროვოკაციული დემონსტრაციები საბჭოთა წარმომადგენლობის ახლოს. პროტესტში აღნიშნულია, რომ მსგავსი პროვოკაციული თავყრილობები ხელს უშლიან საბჭოთა წარმომადგენლობის ნორმალურ მუშაობას, აგრეთვე უხეშად არღვევენ ფედერალურ კანონს „უცხოელ თანამდებობის პირთა და ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ სტუმართა დაცვის შესახებ“.

1978 წლის 6 ივნისს, ნატქვამია მის წერილში, უშუალოდ სსრ კავშირის წარმომადგენლობის შენობის შესასვლელთან გაითამაშეს უხამსი სპექტაკლი, მორიგი პროვოკაციულ-პროპაგანდისტული ფარსი, რომელიც მოხულიგნო ელემენტების ჯგუფმა მოაწყო ამერიკის ხელისუფალთა აშკარა წაყრუებით, საქმე ეხება კამპანიას, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირის მტრული განწყობილების გაღვივება ამერიკის შეერთებულ შტატების მოსახლეობაში.

ყოველივე ეს საშუალებას აძლევს სსრ კავშირის წარმომადგენლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციებთან ერთად აღნიშნული პროვოკაციული აქცია შეაფასოს როგორც ერთ-ერთი რგოლი ანტისაბჭოთა ღონისძიებების ჯაჭვისა, რომლებსაც აწყობენ ან აღვივებენ ამერიკის შეერთებულ შტატების გარკვეული წრეები.

ყურადღებას იპყრობს პოლიციის ხელისუფალთა მოქმედება, რომლებმაც ნება მისცეს ხულიგნებს მოეწყო სსრ კავშირის წარმომადგენლობის შესასვლელის ბლოკირება, შეეწუხებინათ მისი თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც შენობაში ცხოვრობენ, ხელი შეეშალათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა წარმომადგენლობის ნორმალური მუშაობისათვის, რაც არღვევს ამერიკის შეერთებულ შტატების ფედერალურ კანონს, რომელიც კრძალავს უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა პიკეტირებას ან სხვა დემონსტრაციებს მათ მახლობლად.

სსრ კავშირის წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მტკიცე პროტესტს აცხადებს ამის წინააღმდეგ და დაბეჯითებით მოითხოვს იხმაროს ყველა საჭირო ღონისძიება, რათა არ დაუშვან ამგვარი პროვოკაციული აქციების განმეორება.

### იბრძვიან თანასწორუფლებიანობისათვის




● ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოვდება მოძრაობა ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის. შრომის სამინისტროს მონაცემებით, ამერიკელ ქალთა შორის უმუშევრობა ერთნახევარჯერ აღემატება ქვეყანაში არსებულ საშუალო დონეს, ხოლო ხელფასი მამაკაცის საშუალო ხელფასის 57 პროცენტს შეადგენს.

სურათზე: ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციის ერთ-ერთი მონაწილე.

აპ-საქდესის ფოტო.

## რევოლუციაზე უარისთქმის თეორია

როგორც ალბანეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ალიამ ტირანის მიტინგზე გამოსვლისას მკაცრად გააკრიტიკა ჩინეთის „სამი სამყაროს“ თეორია.

ეგრეთ წოდებული „სამი სამყაროს“ თეორია, თქვა მან, მიზნად ისახავს მარქსიზმ-ლენინიზმი შეცვალოს ოპორტუნიზმით. იგი ქადაგებს, რომ პროლეტარები და ხალხები გაერთიანდნენ ბურჟუაზიასთან, იმპერიალიზმთან, რეაქციასთან, პირწავარდნილ ფაშისტებთან, თვით ეშმაკთან, და ამას ამართლებენ ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვით. „სამი სამყაროს“ თეორია მიზნად ისახავს შეასუსტოს ხალხთა რევოლუციური სულისკვეთება, მოუწოდებს მათ ხელი აიღონ ამერიკის ბატონობის, ყოფილი კოლონიზატორების ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

„სამი სამყაროს“ ფსევდოთეორია, აღნიშნა რ. ალიამ, — ანტიმარქსისტული და კონტრრევოლუციურია. იგი ქადაგებს რევოლუციაზე უარისთქმას, ხალხებს უბიძგებს მსოფლიო ომისაკენ. ცდილობენ ეს თეორია გასაღონ ხალხთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვად. პრაქტიკულად კი იგი ხელს აძლევს მათ მტრებს. „სამი სამყაროს“ თეორიას ხალხთა ბრძოლა თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის არ მიაჩნია რევოლუციის განუყოფელ და განუცალკევებელ ნაწილად. ამ თეორიის შემქმნელები ვარაუდობენ, რომ იგი შეიძლება გამოიყენონ თავიანთი პრაგმატიკული და კონიუნქტურული მიზნებისათვის, ამგვარი კონცეფცია საზიანოა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის. იგი ხელს უწყობს იმპერიალიზმის მიერ შობილი ყველა უსამართლობის შენარჩუნებას. ეს თეორია ძირს უთხრის არა მარტო რევოლუციას, არამედ ხალხთა დამოუკიდებლობის საქმესაც.

„სამი სამყაროს“ თეორია რეკომენდაციას იძლევა, რომ პენტაგონი და ნატო, ვერმახტისა და მობუტუს გენერლები მონაწილეობდნენ ბრძოლის საერთო ფრონტში, თქვა რ. ალიამ.

რ. ალიას სიტყვა შეიცავდა ალბანეთის პროპაგანდისათვის დამახასიათებელ ანტისაბჭოთა გამოხდომებს.

(საქდესი, 13 ივნისი).

## კ. ვალდჰაიმის ინტერვიუ

ბელგრადი 13 ივნისი (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კურტ ვალდჰაიმმა იუგოსლავიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რაც შეიძლება მალე უნდა დაიდოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. მან ეს შეთანხმება დაახასიათა როგორც „მეტად დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება განიარაღების პროცესის გაღრმავებისათვის“. დიდ სახელმწიფოებს, თქვა კ. ვალდჰაიმმა, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის.

შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიის მუშაობას, მან თქვა, რომ სესიის ერთ-ერთი მიზანია მოამზადოს მოქმედების პროგრამა, რომელიც იქნება საფუძველი, რათა მიაღწიონ მორიგებებს სხვა დონეზე.

### ვაშინგტონი ზაირში

## ახალი კოლონიალიზმი მოქმედებს

შეერთებული შტატების მიერ შექმნილი საჰაერო ხიდით ზაირში იქ მყოფ ნატოელ დამსჯელთა შესავსებად გადაჰყავთ ჯარის კონტინგენტები აფრიკის ზოგიერთი ქვეყნიდან, რომლებიც დათანხმდნენ იკისრონ ნატოს ხელქვეით ჟანდარმთა საძრახისი როლი. იუწყებიან, კერძოდ, რომ ზაირის შაბის პროვინციაში ამერიკის სამხედრო ძალების თვითმფრინავით გაბონიდან ჩაიყვანეს პირველი კონტინგენტი არმიის ქვეგანაყოფებისა ფრანგი ოფიცრის სარდლობით.

„აფრიკის სახელმწიფო ძალების“ შექმნის ნიღბით მიმდინარეობს ნატოს საექსპლოატაციო კორპუსის ჩამოყალიბება აფრიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის მიზნით. ასეთი ძალების შექმნა ნიშნავს პრაქტიკულ რეალიზაციას შეერთებული შტატების მიერ ნატოს ვაშინგტონის სესიაზე წამოყენებული კონცეფციისა და აფრიკის კონტინენტზე სამხედრო ბლოკის სფეროს გავრცელების შესახებ, სადაც გრძელდება ხალხთა აქტიური ბრძოლა თავიანთი ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

საზღვარგარეთელი მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ შეერთებული შტატები დამსჯელი ძალების შექმნით არღვევენ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, გვერდს უვლიან აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციას, რათა ერთმანეთს გადაკიდონ აფრიკის სახელმწიფოები ამერიკისა და დასავლეთის სხვა მონოპოლიების პოზიციების განმტკიცების ინტერესებისათვის. ყოველივე ამას აფასებენ როგორც „ახალი კოლონიალიზმის პოლიტიკას, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებს აფრიკის კონტინენტზე. ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირენი ცდილობენ შექმნან მათზე დამოკიდებული აფრიკის ქვეყნების რეჟიმების ბლოკი, დაუპირისპირონ იგი კონტინენტის პროგრესულ ქვეყნებს, ერთმანეთს წაუსისიანონ აფრიკის სახელმწიფოები და ძირი გამოუთხარონ აფრიკის ქვეყნების ერთობას.

ამერიკის იმპერიალიზმისა და მის ხელქვეითთა აგრესიულ მისწრაფებებს აფრიკაში მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ კონტინენტის ქვეყნები. დამსჯელი ჯარების დახმარებით, რომლებსაც შეაიარაღებს და კონტროლს გაუწევს ნატო, წერს გაზეთი „ეთიოპიან ჰერალდი“, დასავლეთის სახელმწიფოები იმედოვნებენ შეინარჩუნონ თავიანთი ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული პოზიციები, განამტკიცონ რასისტული რეჟიმები სამხრეთ აფრიკაში, შეაკავონ სოციალიზმის იდეების მზარდი გავლენა და თავიანთი პირობები უკარნახონ აფრიკის ქვეყნებს.

საერთაშორისო რეაქცია, აღნიშნავს მოზამბიკის „ნოტისიაშ და ბეირა“, ცდილობს შექმნას თავისი აგენტურა აფრიკაში და ძირი გამოუთხაროს აფრიკის ქვეყნების ერთობას, რათა უზრუნველყოს დასავლეთის მონოპოლიებისათვის ჩვენი კონტინენტის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაუსჯელად ძარცვის შესაძლებლობა, ზაირის შინაურ საქმეში შეიარაღებული ჩარევა. (საქდესი).

## მკვლელთა ლეგიონი

### საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ნამდვილი სახე

ამას წინათ ბელგიის გაზეთ „სუარის“ კოლვეზიელი სპეციალური კორესპონდენტი, იმოწმებდა რა ბელგიელ ჯარისკაცებს, ამტკიცებდა, რომ „საფრანგეთის უცხოური ლეგიონის პარაშუტისტები ესვრიან ყველაფერს, რაც კი მოძრაობს“. მათ, წერს კორესპონდენტი, სრულიად უდანაშაულო ადამიანები დახოცეს. ფრანგი ლეგიონერები ამ დროს აფრიკელებს საერთოდ არაფრად აგდებენ. გარდა ამისა, კორესპონდენტის თქმით, ლეგიონერებმა დახოცეს ოთხი ბელგიელი და სრულიად უსაფუძვლოდ დახვრიტეს ერთი იუგოსლავი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, როგორც მის კორესპონდენტს ბელგიელმა ოფიცრებმა განუცხადეს, ფრანგმა პარაშუტისტებმა გააჩერეს მანქანა, რომელშიც იყო საევაკუაციოდ აეროპორტში მიმავალი ექვსი ევროპელი, და როცა მათ პირადობის მოწმობა ვერ წარუდგინეს, ადგილზე დახვრიტეს.

ამ სისხლიანი „საგმირო საქმეების“ გამო დასავლეთის პრესა ახლა ბევრს წერს უცხოურ ლეგიონზე. ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ალჟირის ქალაქ სიდი-ბელ-აბესში აღმართული იყო უზარმაზარი ბრინჯაოს ძეგლი: უცხოური ლეგიონის ოთხ ჯარისკაცს მხრებით ეჭირა დედამიწის სფერო. ეს ძეგლი სიმბოლურად გამოხატავდა საფრანგეთის კოლონიურ იმპერიას, რომელიც ოდესღაც რამდენიმე კილომეტრზე იყო გადაჭიმული, და მის დასაყრდენს — შეიარაღებულ დაქირავებულებს. საფრანგეთის მმართველი კლასები თავიანთ შეიარაღებულ ძალებში ყოველთვის ხალისით ქირაობდნენ უცხოელებს. 146 წლის წინათ მეფე ლუი-ფილიპემ გამოსცა კანონი, რომელიც ითვალისწინებს უცხოელებისაგან ლეგიონის ჩამოყალიბებას ზღვისმიერ ტერიტორიებზე სამხედრო სამსახურისათვის. ლეგიონში ჩარიცხვის დროს არ მოითხოვდნენ არც პასპორტს, არც სხვა დოკუმენტებს: საკმარისი იყო სამედიცინო შემოწმება და ნებისმიერი გვარისა და სახელის თქმა. სამაგიეროდ, სამხედრო სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ, ლეგიონერი ახალთახალ ფრანგულ პასპორტს იღებდა ხოლმე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ უცხოურ ლეგიონში ჩასარიცხად მთელი მსოფლიოს ყოველი კუთხიდან წამოვიდნენ ქამოქცეული დამნაშავენი და ყველა ისინი, ვისაც ამა თუ იმ მიზეზით უნდოდა კვალის არევა. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ეს ბრბო კოლონიური ხალხების მხეცური აწიოკებით „იხვეჭდა სახელს“. უცხოური ლეგიონი მონაწილეობდა ტონკინის, მადაგასკარის, დაგომეის დაპყრობაში, ემორჩილებდა აჯანყებულ ტომებს მაროკოში. მცხუნვარე საჰარის ქვიშებში თუ ინდოჩინეთის ბრინჯის ყანებში დაღვრილი სისხლი წკრიალა მონეტებად ცვიოდა პარიზის ბანკების სეიფებში. უცხოური ლეგიონის პოლკები 50-იან-60-იან წლებში მონაწილეობდნენ „ბინძურ ომში“ ალჟირში და ქვეყნის ათიათასობით მცხოვრები მოსპეს.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ იზრუნა იმისათვის, რომ იაფი რომანტიკის შარავანდედით შემოსა თავისი ლანდსკნეხტები, წიგნის ბაზარი წალეკა ვულგარულმა რომანებმა, რომელთა ფურცლებზე ახალგაზრდა ლეიტენანტები ხმლების ქნევით მიუძღოდნენ თეთრკეპიან მოიერიშე ჯარისკაცებს, ახდა ერთი მუჭა ლეგიონერები მამაცურად იგერიებდნენ ქედუხრელ ადგილობრივ მკვიდრთა აურაცხელი ორდების გაავებულ იერიშებს. ამათვე უმღერდა მგრძნობიარე რომანსების ქალი პარიზის კაბარეში. ის-ის იყო გაჩნდა კინო, რომ უცხოური ლეგიონის „საგმირო საქმეთა“ განდიდება დაიწყეს უამრავ ფილმში. სულ ახლახან ცნობილი ამერიკელი მილიონერი და ჯაზის მომღერალი ფრენკ სინატრა მღეროდა: ...თუ მიმატოვებ, ფრანგულ უცხოურ ლეგიონში შევალ. შეხედე მის ფორმას, რა არაჩვეულებრივია....

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უცხოური ლეგიონის რიგებში შესასვლელად დაიძრნენ გერმანელი ესესელები, იტალიელი შავპერანგიანები, ბელგიელი რექსისტები და სხვა ფაშისტი დამნაშავენი, რომლებიც ხალხის სამსჯავროს გაურბოდნენ. კაცთა კვლა მათი პროფესია იყო და არ სურდათ იგი მიეტოვებინათ. საგანთა ლოგიკა იქამდე მივიდა, რომ უცხოური ლეგიონი კადრების მიმწოდებელი გახდა ფაშისტური საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციებისათვის (ოასისათვის) საფრანგეთში, რომელიც აწყობდა მკვლელობებს, ხანძრებსა და აფეთქებებს მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას 1958 წელს სათავეში ჩაუდგა გენერალი დე გოლი, რამაც მათი უკმაყოფილება გამოიწვია.

დამახასიათებელი მაგალითი შეიძლება იყოს უცხოური ლეგიონის ლეიტენანტის ბელგიელი დეგელდრის კარიერა, რომელიც პარიზში დახვრიტეს სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით. მეორე მსოფლიო ომის წლებში დეგელდრმა უღალატა სამშობლოს და სს-ს რიგებში შევიდა. მან ჰიტლერული ჯილდოები მიიღო ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებისათვის. ჰიტლერული გერმანიის განადგურების შემდეგ იგი უცხოურ ლეგიონში შევიდა, თავდაპირველად ინდოჩინეთში, შემდეგ კი ალჟირში ომობდა და ბოლოს სათავეში ჩაუდგა ოასის ტერორისტულ ჯგუფს და რიგითი მკვლელი მასობრივ მკვლელობათა ორგანიზატორი გახდა. როგორც სასამართლოში გამოირკვა, მთელი თავისი კარიერის მანძილზე დეგელდრი ხოცავდა ჯერ თავის თანამემამულეებს — ბელგიელებს, შემდეგ კი რუსებს, ვიეტნამელებს, ალჟირელებსა და ფრანგებს.

დეგელდრის ანგარიშზე ერთი მოკლული ინგლისელიც კი აღმოჩნდა. ეს იყო ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ატაშე ალჟირში ფოქსი, რომელმაც გააბოროტა ოასელები და მათ მოსპეს იგი დიპლომატიური კორპუსის აბუჩად აგდების მიზნით.

ასეთია უცხოური ლეგიონის წევრი არამზადების სახე.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა დაკარგა ალჟირი, სადაც ლეგიონერთა ძირითადი ბაზა იყო, დაიწყო უცხოური ლეგიონის გახრწნა. ირღვეოდა კანონი იმის შესახებ, რომ ლეგიონი არ უნდა დაბინავდეს თვით საფრანგეთის ტერიტორიაზე და ახლა ქვეგანაყოფები 1960 წელს განალაგეს კორსიკაზე. მას შემდეგ ლეგიონერებმა უამრავი დანაშაული ჩაიდინეს კორსიკაზე: ძარცვავენ, ხოცავენ ადგილობრივ მცხოვრებლებს.

საფრანგეთის პროგრესული საზოგადოებრიობა უკვე დიდი ხანია მოითხოვს უცხოური ლეგიონის დათხოვნას, მაგრამ მთავრობა ჯიუტად ამბობს უარს ამ ღონისძიებაზე. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა ბურჟმა ითავა უცხოური ლეგიონის დაცვა. სამხედრო მინისტრს სწრაფად დაუჭირა მხარი გენერალმა ბიჟარმა, მანამდე კი მეორე გენერალმა — მორელმა პრესის საშუალებით ასეთი პათეტიკური სიტყვებით მიმართა უცხოური ლეგიონის ჯარისკაცებს: „აღივსეთ ნდობით! უცხოური პოლკები თქვენი სამხედრო ტრადიციების განუყოფელ ნაწილს შეადგენენ“.

როგორც ჩანს, საფრანგეთის მმართველი წრეებიდან ზოგიერთი ვინმე უცხოურ ლეგიონს რეალურ ძალად მიიჩნევს „საშინაო და საგარეო უწესრიგობის“ ჩასახშობად.

კ. ფერაძე.

## იდუმალი სამყაროს ბილიკებით

ოცი წლის წინათ საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო დარგს და სპორტის ვაჟკაცურ სახეობას — სპელეოლოგიას.

1958 წელს თითქმის ერთდროულად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ყალიბდება სპელეოლოგთა კომისია და ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში იქმნება კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის ლაბორატორია. იმ დროისათვის საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები თითქმის შეუსწავლელი იყო, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი ენთუზიასტი მეცნიერის, მოგზაურის თუ სპორტსმენის საკუთარი ინიციატივით ჩატარებულ კვლევებს.

ოცი წელი ალბათ არც ისე დიდი დროა, მაგრამ, ამ ხნის განმავლობაში სპელეოლოგიამ ჩვენში მეტად საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლო. მოეწყო მრავალი საინტერესო ექსპედიცია იდუმალ სამყაროში, რომლებიც არა მარტო ცოდნას და სიყვარულს მოითხოვს, არამედ მამაცობასაც და ვაჟკაცობასაც. ახალი ათონის მღვიმეზე რომ არაფერი ვთქვათ, რამდენი ახალი, თვალწარმტაცი, საიდუმლოებით მოცული ახალი მღვიმე იყო აღმოჩენილი. სწორედ ქართველი სპელეოლოგების დაუღალავმა ხიფათით აღსავსე, მამაცურმა კვლევამ მოუტანა საქართველოს ჭეშმარიტი სპელეორესპუბლიკის სახელი მსოფლიოში.

მღვიმეებისა და გამოქვაბულების, მათი მშვენიერების, საუკუნოვანი მყუდროების შეცნობისა და ხილვის საშუალება მხოლოდ უმცირესობას აქვს, ამ მხრივ ერთ-ერთი „გამოსავალი“ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურაა.

ამას წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა წიგნი — „იდუმალი სამყაროს ბილიკებით“, მისი ავტორია ჩვენში სპელეოლოგიის ერთ-ერთი პიონერი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სპელეოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე თამაზ კიკნაძე — მრავალი სპელეოლოგიური ექსპედიციების მონაწილე არა მარტო საქართველოს მრავალ კუთხეში, არამედ საფრანგეთში, იუგოსლავიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში.

„ყველაზე უმშვენიერესი გრძნობა დაკავშირებულია იდუმალის განცდასთან“ — აინშტაინის ეს სიტყვები წაუმძღვარა ავტორმა თავის წიგნს და უფრო ზუსტიც, მთელი წიგნი გამსჭვალულია ამ იდუმალის განცდის ბედნიერებით.

წიგნში განხილულია მღვიმეთა და გამოქვაბულთა შემსწავლელი მეცნიერების — სპელეოლოგიის განვითარების ეტაპები, ისტორია, გადმოცემულია მღვიმეებთან დაკავშირებული მსოფლიოს ხალხთა ლეგენდები, საინტერესოდ და მიმზიდველად არის მოთხრობილი მრავალი ეპიზოდი, როდესაც მღვიმე მრავალი გამოჩენილი კომპოზიტორის და პოეტის შთაგონების წყაროდ იქცა.

წიგნის მეორე ნაწილში გადმოცემულია ავტორის და მისი თანამოლაშქრეების ექსპედიციების თავგადასავლები საქართველოს მღვიმეებში.

თ. კიკნაძე რამდენიმე სამეცნიერო-პოპულარული წიგნის ავტორია, მაგრამ „იდუმალი სამყაროს ბილიკებით“ ალბათ განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ჩვენს სამეცნიერო პუბლიცისტიკაში.

მაღალი მეცნიერულ-პუბლიცისტური და პოლიგრაფიული დონე, მიმზიდველი ილუსტრაციები — აი ყველაფერი ის, რაც მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს.

თ. ურუშაძე,
გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

# საქართველოს მთა-ბარში

## ლანჩხუთი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

□

### ახალი კლუბი

პატარა ქალაქს წააგავს ჩოჩხათის სოფლის ცენტრი — მას ამშვენებს მრავალსართულიანი ნაგებობანი. ახლახან სოფელს კიდევ ერთი ლამაზი შენობა შეემატა — საკოლმეურნეო კლუბი. დარბაზის გასაწყობად კოლმეურნეობამ შეიძინა 21 ათასი მანეთის თეატრალური სავარძლები.

### კომკავშირული მაღაზია

სოფელ მამათში გაიხსნა ახალი ორსართულიანი უნივერსალური მაღაზია, რომელიც კომკავშირელი ახალგაზრდობით არის დაკომპლექტებული. მაღაზიის ორივე სართულზე განლაგებულია სხვადასხვა სექცია, სადაც ახალგაზრდა კოოპერატორები მომხმარებელს კულტურულად ემსახურებიან.

### სასადილო მწყემსებისათვის

რაიკოოპერატივის საზოგადოებრივი კვების გაერთიანებამ სოფელ სუფსაში, პალიასტომის მახლობლად გაშენებული მეცხოველეობის სასუქებელი კომპლექსის მუშაკებისათვის გახსნა ახალი სასადილო.

### გაიხსნა ბიბლიოთეკა

რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ სოფელ არჩეულში ე. ნინოშვილის სახლმუზეუმის მახლობლად გახსნა ახალი ბიბლიოთეკა. მის ფონდში 2 ათასი წიგნია.

### ახალი ავტოსადგური

რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმომ ქალაქის მახლობლად, რესპუბლიკური ტრასის მარჯვენა მხარეს ააგო თანამედროვე კეთილმოწყობილი ავტოსადგური. აქ ყველა პირობაა შექმნილი მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის.

ბ. ჩხაიძე.

## ზაფხულის სეზონის სავაჭრო სერვისი

საქართველოს კურორტებზე ყოველწლიურად ოთხ მილიონამდე კაცი ისვენებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი რესპუბლიკის დედაქალაქის, — თბილისის სტუმარი ხდება. ვაჭრობის საწარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უფრო სრულად დააკმაყოფილონ ქალაქის სტუმრებისა და მცხოვრებლების მოთხოვნა, კულტურულად მოემსახურონ მათ ზაფხულის საკურორტო სეზონის დროს. როგორ წყდება ეს ამოცანა?

— საზაფხულო ვაჭრობისათვის მზადება ჯერ კიდევ ზამთარში დავიწყეთ. შევიმუშავეთ კონკრეტული გეგმა, რომლის ბევრი პუნქტი დღეს უკვე შესრულებულია, — გვითხრა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ზ. გილაურმა. — დამსვენებლებსა და ქალაქის მოსახლეობას საზოგადოებრივი კვების 300-ზე მეტი საწარმო ემსახურება. მიმდინარე წელს გახსნილია ორი ახალი კაფე. დიეტურ სასადილოებში დასაჯდომი ადგილების რიცხვი დაახლოებით 1500-ით გაიზარდა. შემოღებულია მომხმარებლებთან ანგარიშსწორების ახალი წესი — სალაროს აპარატების საშუალებით. კომპლექსური სადილების დამზადება 1976 წელთან შედარებით ერთი-ორად გაიზარდა. მყიდველებისთვის ძალიან მოსახერხებელია სავაჭრო ქსელის სპეციალიზაცია. სპეციალიზებულია ქალაქის ყველა მაღაზიის 70 პროცენტი. მათი უმეტესობა თვითმომსახურების მეთოდით ვაჭრობს.

მაღაზიებში შემოაქვთ სეზონური საქონელი. ამ საქმეში ჩვენ მეტად უნდა დაგვეხმარონ მებოსტნეები.

უფრო მეტად ვზრუნავთ საწყობებსა და მაცივრებში სურსათის შენახვის გაუმჯობესებისათვის, უფრო ხშირად ვამოწმებთ პროდუქტების რეალიზაციის ვადებს.

გამოცხადებულია საქალაქო კონკურსი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების საუკეთესო სანიტარიული მდგომარეობისათვის. (საქინფორმი).

## „ვინ მინდა ვიყო"

ტყიბული. ახალგაზრდობის კლუბმა „ჩირაღდანმა" უფროსკლასელებისათვის მოაწყო საღამო-დისპუტი თემაზე — „ვინ მინდა ვიყო".

კლუბის სხდომათა დარბაზში მოსწავლეები შეხვდნენ ქალაქის საწარმოთა საუკეთესო სპეციალისტებს, შრომის გმირებს, ნოვატორებს. ახალგაზრდები საღამოზე მსჯელობდნენ მომავალ სპეციალობებზე, ხოლო უფროსები გამოცდილებას უზიარებდნენ, ცხოვრებისეული მაგალითებით განუმარტავდნენ სხვადასხვა საკითხს.

იმ დღეს მრავალმა მოსწავლემ გამოთქვა სურვილი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობას დაიწყებენ, ხოლო უმაღლეს განათლებას დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მიიღებენ.

ი. შარაბიძე.

## მშრომელთა სამსახურში

ქობულეთი. ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობამ გადაწყვიტა საკუთარი სახსრებით მდინარე ოჩხამურზე ხიდი აეშენებინა. ამ წამოწყებას მშრომელებმა მხარი აუბეს. ახლა მდინარეზე კაპიტალური ხიდია აგებული.

ბ. ჩხაიძე.

## მიწისძვრა თბილისში

14 ივნისს თბილისში 17 საათსა და 36 წუთზე ადგილობრივი დროით, მოხდა 3-4 ბალი სიძლიერის მიწისძვრა.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა სეისმოლოგიური ობსერვატორია „თბილისის" უფროსმა ინჟინერმა ო. ვარაზანაშვილმა, მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს რესპუბლიკის დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 75-80 კილომეტრზე — ჯავახეთის ზეგანის რაიონში.

(საქინფორმი).

საბჭოთა არმია აღზრდის სკოლაა

□

## შვილი ჯარში მსახურობს

თბილისი. თინა და ირაკლი სოხაძეებს



საბჭოთა არმიის რიგებში სავალდებულო სამსახური არა მარტო ყოველი მოქალაქის, კერძოდ ახალგაზრდობის პატრიოტული მოვალეობაა. არამედ წრთობისა და აღზრდის დიდებული სკოლაც არის. აქ ეუფლებიან სამხედრო ტექნიკას, იძენენ ახალ პროფესიას, ხდებიან საკუთარი თავისადმი უფრო მომთხოვნი, დიდად დისციპლინიანი. ყველა ამ დადებითი თვისებას ამჟღავნებს თქვენი შვილი დავითი, იძლევა მისაბაძ მაგალითებს.

დავითი აქტიურად მონაწილეობს სამხედრო ნაწილის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაღალ შედეგებს აღწევს სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში, მიღებული აქვს წამახალისებელი ჯილდოები.

თქვენ, დავითის მშობლებს ჯანმრთელობასა და წარმატებებს გისურვებთ ცხოვრებაში.

სამხედრო ნაწილის მეთაური — ი. ჩურაკოვი.

თბილისი. ქეთო და თენგიზ აბრამიშვილებს



სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა მოხარულია გაცნობოთ, რომ თქვენი შვილი მერაბი, რომელიც ჯარში მაისის შუა რიცხვებში მოვიდა ჩვენთან, ერთ-ერთი მოწინავეთაგანია და პირნათლად ასრულებს მეთაურთა ყოველ სამხედრო დავალებას. იგი გამოირჩევა თავმდაბლობით, დისციპლინით, სამხედრო და პოლიტიკური მომზადების მაღალი დონით, მიღებული აქვს რამდენიმე წამახალისებელი ჯილდო.

გვჯერა, რომ მერაბი მუდამ იქნება ჩვენი ქვეყნის პატრიოტი და ღირსეული დამცველი, მშობლების ამაგის დამფასებელი. თქვენ კი, პატივცემულო ქეთო და თენგიზ, მადლობას მოგახსენებთ ასეთი ახალგაზრდის აღზრდისათვის.

სამხედრო ნაწილის მეთაური — ვ. ივანოვი, მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში — ა. ველეიშიკოვი.

გაზეთ „პრავდის" პრიზებზე

## სტადიონი გვიხმობს

მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების წინ



საქართველოს სპორტკომიტეტში მოწყობილ შტაბში, უცხოეთთან სპორტული კავშირის განყოფილებაში, „დინამოს" სტადიონზე, შეჯიბრების პრესცენტრში, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც გაზეთ „პრავდის" პრიზების XIV გათამაშების მასპინძლობაზე ზრუნავენ, საქმე ჩქეფს — უკანასკნელი მოსამზადებელი სამუშაოები მთავრდება.

სტუმრები კი მოდიან და მოდიან, გუშინ დილით სპორტული ალმებით მორთულ აეროპორტში ალჟირის, გვინეისა და სიერა-ლეონეს მძლეოსნებს შეხვდნენ, საღამოს კი მომავალი სპორტული ბატალიების მონაწილეთა სხვა ჯგუფები ჩამოვიდნენ. დღეს ევროპის ქვეყნების უძლიერესი ათლეტები ჩამოფრინდებიან, რკინიგზის ვოგზალი კი სოჭიდან მომავალ საბჭოთა კავშირის ნაკრებს ზეიმით შეეგებება.

სტუმრები კმაყოფილი არიან, რომ წლევანდელი ტურნირი ვაქთა შორის სიმაღლეზე ხტომაში პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონის რ. შავლაყაძისა და სამხტომში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვ. სანეევის სამშობლოში ეწყობა.

— თქვენს რესპუბლიკას კარგად ვიცნობთ, თუმცა იგი არასოდეს გვინახავს, — გვეუბნებიან ალჟირელები, — ჩვენთან მძლეოსნობის საბჭოთა სპეციალისტები მუშაობენ. ჩვენი და თქვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობა აფრიკელთა წინსვლის საუკეთესო გარანტიაა, თქვენი დახმარება კი ჩვენ აუცილებლად გვჭირდება.

ალჟირელ ფიზკულტურის მასწავლებელს ბ. რეზკის, რომელიც თბილისში ჭოკით ხტომაში გამარჯვებისათვის იბრძოლებს, და მის ამხანაგებს სჯერათ, რომ მძლეოსნურ ბილიკებზე და სექტორებში გამართული ორდღიანი ტურნირი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კეთილი ნების ადამიანების დამეგობრებას, მშვიდობის განმტკიცებას.

გვინეელ ბ. ბანკურას 1.500 მეტრზე რბენაში თავისი ქვეყნის ჩემპიონს არ დაუმალავს, რომ იგი თბილისში მხოლოდ გამარჯვებისათვის ჩამოვიდა.

გუშინ თბილისს თითქმის ლეგენდად ქცეული კუბელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ა. ხუანტორენაც ეწვია, სხვებიც, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ბევრმა ვარჯიშის ჩატარებაც მოასწრო, ზოგმა კი ქალაქის დათვალიერება ამჯობინა. ყველგან, სადაც კი დიდი ტურნირის მონაწილენი გამოჩნდებიან, მათ ზრუნვა არ აკლიათ, ვალში არც სტუმრები რჩებიან, მათსა და თბილისელთა შორის გულთბილი და მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა.

და მაინც ყველას გული „დინამოს" სტადიონისკენ მიუწევს, იქეთ, სადაც 16 ივნისს 15 საათზე მძლეოსანთა დიდი ტურნირი შუბის მტყორცნელ ქალთა ასპარეზობით დაიწყება. შუბის მტყორცნელთა შორის ვიხილავთ ჩვენი რესპუბლიკის რეკორდსმენს საიდა გუნბას.

დ. ვეფხვაძე.







სურათებზე: ზემოთ — ალჟირის, სიერა-ლეონესა და გვინეის სპორტსმენები თბილისის აეროპორტში; ქვემოთ — თბილისის 450-ადგილიანი ახალი ტურისტული სასტუმრო „ვაკე". მისი პირველი სტუმრები იქნებიან „პრავდის" პრიზებზე მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილენი.

ა. კილაძისა და მ. ხუცურაულის ფოტოები.

## გ. ხარატიშვილი



ქართულმა ხელოვნებათმცოდნეობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დაიცვალა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის დოცენტი გიორგი ისიდორეს ძე ხარატიშვილი.

გ. ხარატიშვილი დაიბადა 1910 წელს ქ. ქიათურაში. მუშის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1931 წელს, ხოლო 1932 წლიდან სწავლას განაგრძობს მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე. პარალელურად იგი იყო ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" სპეციალური კორესპონდენტი მოსკოვში.

დაბრუნების შემდეგ მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა საბჭოური თეატრისა და კინოს ისტორიას. მისი სტატიები ხშირად იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში, აქტიურად ეხმაურებოდა კინოს და თეატრის ცხოვრების ახალ მოვლენებს.

1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კოტე მარჯანიშვილი რუსულ თეატრში". გარდაცვალებამდე მუშაობდა უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრაზე, პარალელურად წლების მანძილზე იყო საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანი, სადაც სრულად გამოვლინდა მისი პრინციპულობა, პატრიოტიზმი და გულისხმიერება ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. იგი 50-მდე ნაშრომის ავტორია.

მახვილი გონება, საზოგადოებრივ მოვლენებში წვდომის უნარი, ერუდიცია, ღრმა ცოდნა, სათნოება და პრინციპულობა — აი ის თვისებები, რომლებმაც გ. ხარატიშვილს დაუმკვიდრა დაკვირვებული მკვლევარის ავტორიტეტი და სიყვარული კოლეგებსა და თანამშრომლებს შორის.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი უნივერსიტეტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი, გაერთიანებული პროფკომი, ისტორიის ფაკულტეტის დეკანატი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა, საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანატი; საქართველოს თეატრალური საზოგადოება; კინემატოგრაფისტთა კავშირი; გამომცემლობა „ხელოვნება"; კინოსტუდია „ქართული ფილმი".

## ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა. ზოგიერთ რაიონში მცირე, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში 28-33, მთაში 23-28 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონში მცირე ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, მტკვრის ხეობაში იქროლებს წამში 6-11 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი. ბარში 27-32 გრადუსი, მთაში 22-27 გრადუსი იქნება.

თბილისში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 30-32 გრადუსი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

## თეატრი

სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე" მარჯანიშვილის თეატრში

□

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი მოსკოვში იმყოფებოდა საგასტროლოდ. მარჯანიშვილელებმა „ფიროსმანთან" და „ბერიკონთან" ერთად თავიანთი ახალი დადგმა „ოიდიპოს მეფეც" გამოიტანეს საბჭოეთის დედაქალაქის თეატრის მოყვარულთა სამსჯავროზე. სწორედ „ოიდიპოსის" ახალ სიცოცხლეს ქართულ სცენაზე ეძღვნება პროფესორ ლ. სანიკიძის ეს რეცენზია.

## სინათლე თვალდაშრეტილისა

ორი ათას ოთხასი წელიწადია აღელვებს მსოფლიო თეატრალურ სამყაროს დიდი ბერძენი დრამატურგისა და პოეტის სოფოკლეს საოცარი თხზულება — „ოიდიპოს მეფე". საქართველოშიც, შექსპირის შემდგომ, საზღვარგარეთის კლასიკური დრამატურგიიდან სწორედ „ოიდიპოსურმა პრობლემამ" დაიმკვიდრა ყველაზე დიდი სახელოვნებო რეზონანსი და მასშტაბი. ალბათ, საკმარისი იქნება გახსენება ეგზომ უპრეცედენტო ფაქტისა: ერთი სეზონის განსწვრივ რუსთაველის თეატრის სცენაზე ოიდიპოსის როლში ოთხი გამოჩენილი აქტიორი ენაცვლებოდა ერთიმეორეს — აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე და ეროსი მანჯგალაძე. ეს იყო რაღაცნაირი „აყვავების ხანა" ოიდიპოსისა. შემდეგ კიდევ განხორციელდა რამდენიმე (მარცხიანი თუ უმარცხო) წარმოდგენა და, ახლა მარჯანიშვილის თეატრმა იკისრა გენიალური ბერძნული ქმნილების სცენიური ხორცშესხმა (რეჟისორები — გიგა ლორთქიფანიძე და თამაზ მესხი).

რა ხდება, რა იტაცებს და ატყვევებს ადამიანს ამ პიესაში ეგზომ „სულმოუთქმელად?", რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების გრანიტული სიკვრივით შეკრულსა და უკიდურესად მძაფრი წიაღსვლებით აღსავსე კომპოზიციას. ძირიდან თავამდე ეს გახლავთ მოქმედი ვულკანი, რომლის კრატერზე ყოველი წერტილის „შეწუხება" იწვევს „ყოვლის წამლეკავ" აფეთქებას. და სწორედ ეს „აფეთქებანი" ატყვევებენ და აჯადოებენ მაყურებელს, რადგან ყველა ისინი მაინცა და მაინც ადამიანის სულის წიაღიდან „ფეთქდებიან" და მოედინებიან „ყოვლის წამლეკავი" ძალმოსილებით. ხოლო ფუძისეული მამოძრავებელი ძალა ამ „ჯადოსნური ვულკანიზმისა" არის ადამიანის თავისუფალი ნების ბრძოლა ბოროტი ბედისწერის („ანანკე") წინააღმდეგ.

„ოიდიპოს მეფის" ავტორის მსგავსად ჯერ არავის დაუხატავს გასაოცარი შემმართებლობა „ღმერთებისგან მიტოვებული" და ავი ბედისწერის საჯიჯგნად დაგდებული ადამიანის სულისა.

მაშ, სიომარ ასპარეზზე ერთმანეთს ხვდებიან „ყოვლის შემძლე ანანკე" და „კაცთა ჭილაგისგან უკეთესი კაცი" ოიდიპოსი. ბედისწერას უკვე თავისი გაუტანია და უკეთილშობილესი კაცთაგანი უბოროტესი ცოდვებისთვის შეუყრია და შეუნარცხებია. მაგრამ ოიდიპოსმა ჯერ არაფერიც არ იცის მისგან ჩადენილ საშინელებათა შესახებ. მან მხოლოდ იცის, რომ ქალაქში დაბუდებული სნეულების აღსაკვეთად უნდა მონახოს და გააძევოს წინარე მეფის — ლაიოსის მკვლელი. მას არაფერი გაეგება, რომ მეფე-დედოფალმა ლაიოსმა და იოკასტემ დელფოელი მისნის ავი წინასწარმეტყველების გამო, ახალდაბადებული შვილი—ოიდიპოსი მწყემსს გაატანეს კითერონის კლდეზე გადასაგდებად. გულთმისან ტირესიას გარდა, არც ის იციან თებელებმა, რომ სასიკვდილოდ განწირული ყრმა კითერონელ მწყემსს კორინთელმა მწყემსმა გამოართვა და კორინთოს უშვილძირო მეფე-დედოფალს (პოლიბოსი და მეროპე) გადასცა. მერე დავაჟკაცებულ ოიდიპოსს, რომელსაც თავი კორინთელ ლეიძლ უფლისწულად მიაჩნდა, დელფოს მისანმა სწორედ ეს უთხრა — მამას მოჰკლავ და დედას ცოლად შეირთავო, გაოგნებული ჭაბუკი კორინთოში აღარ დაბრუნდა — დედ-მამას მართლა არაფერი შევცოდოო —. და „უცხო თებესაკენ" გაეშურა. გზაზე „ვიღაც მოხუცი" (ნამდვილი მამა) შემოაკვდა, თებეს მიეიდა. ქალაქი საშინელი ურჩხულისაგან დაიხსნა, სამაგიეროდ თებეს მეფობაც მიიღო და ქვრივი დედოფალიც (ნამდვილი დედა) ცოლად შეირთო. აქამდე ოიდიპოსმა არაფერი იცის და ისევ ბედისწერამ უნდა შეაცნობინოს ყველაფერი. სწორედ ეს „შეცნობის პროცესი" არის ტრაგედიის მთლიანი ქსოვილი.

ტირესიას საუკეთესო სახე შექმნა ირაკლი უჩანეიშვილმა. ძლიერად ითქვა ბრმა გულთმისანის პირველი სიტყვა, რომელმაც მწარე სინამდვილის „პირველი წვეთით" აამოძრავა ჯოჯოხეთური მანქანა „საბედისწერო შეცნობისა".

იოკასტეს როლით მედეა ჩაფარიძემ კვლავ აღაფრთოვანა მისი მაღალი სამსახიობო ხელოვნების თაყვანისმცემლები. მან რეალისტურად აჩვენა რომანტიკას მოკლებული „საშუალო რიგის" დედოფალი, საკმაოდ შეზღუდული გონებით და უაღრესად სკეპტიკური სულით. ავტორისეული სიმართლის შესატყვისად წარმოადგინა შესანიშნავმა მსახიობმა დედოფლის უკანასკნელი სცენა, რასაც მისი „ლოგიკური აღსასრულიც" უნდა მოჰყოლოდა.

მაღალი ოსტატობით წარუდგნენ მაყურებელს: გ. სიხარულიძე (კორინთელი მაცნე), ი. ოსაძე (კითერონელი მწყემსი), კ. თოლორაია (ქურუმი), მ. მებურიშვილი (კრეონი).

ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ქორო, რომელიც წარმოადგენს მძლავრი, დემონური მუსიკის (კომპოზიტორი ი. კეჩეყმაძე) ტაქტზე მორიალე ფანტასმების კრებულს. აქვე — კმაყოფილებას იწვევს დროისა და განწყობილების შესატყვისი მხატვრობა (ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე, ო. ქობაიძე).

საგანგებო ყურადღებას მოითხოვს მთავარი გმირის — ოიდიპოსისა და მისი შემსრულებლის წილხვედრი ამ ჭეშმარიტად დიდ თეატრალურ სანახაობაში. ოთარ მეღვინეთუხუცესმა ოიდიპოსის ახალი გააზრებით და განსახებით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ქართულ თეატრალურ ხელოვნებას დიდი საიმედო და სამაყო ძალა ჰყავს. მეღვინეთუხუცესის ოიდიპოსში ჩვენ ვხედავთ სახეს, რომლის მსგავსთა მიმართ არისტოტელე ამბობდა — „ყველაზე უკეთესი ყოველთვის ყველაზე უბედური არისო".

განუზომელი ბოროტებანი და შეცოდებანი ოიდიპოსს ბედისწერამ ჩაადენინა მისდა უნებლიეთ, მისგან მზაკვრული შეფარვით, მისთვის წინასწარ შეუცნობლად! მაშ, შეიძლება თუ არა, დაისაჯოს უნებლიე დანაშაულის ჩამდენი კაცი? სწორედ „საკითხავიც" აი, ეს გახლავთ. პლატონის ერთ დიალოგში („გორგია") სოკრატე ამბობს: „განა, უბედური არ არის ის კაცი, რომელმაც ბოროტება ჩაიდინა და სამაგიერო სასჯელით არ დაისაჯა?" აი, კიდევ მეორე „საკითხავი". ჩვეულებრივი სახელმწიფოებრივი სამართლით უნებლიე დანაშაული მართლაც შეიძლება დანაშაულად არ ჩაითვალოს, მაგრამ არის ყველაზე დიდი სამყარო ადამიანური ცხოვრებისა — სინდისისა და ზნეობის სამყარო რაკი ბოროტება ჩადენილია (სულ ერთია — ნებით თუ უნებლიეთ), იგი უნდა განიწმინდოს თუნდაც უმძიმესი თვითგვემის ფასად. ყველაზე ნათლად და ძლიერად ეს შეგნებული ჰქონია სწორედ ოიდიპოსს და მან ბედისწერის უსაშინლეს „ტრაგიკულ ირონიას" შესაბამისად ისეთი „კონტრდარტყმით" უპასუხა, რომლის წინაშე ქრისტეს ჯვარცმაც უფერულდება და უსახურდება: ბილო და საკუთარი ხელებით საკუთარი თვალები გამოითხარა! აი, თვითგვემის „უმაღლესი საჯე"! ასეთი „სახის" ხილვას თვით ბედისწერაც ვერ გაუძლებს და მაყურებელიც თითქოს თვალნათლივ შეიგრძნობს შეძრწუნებულსა და გაფითრებულ „ანანკეს", რომელმაც ბოროტი ხრიკით ჩაიქრო და დამარცხებული გაეცალა „ყველაზე უკეთესი და ყველაზე უბედური კაცისშვილის" სასასპაროზს. გამოდის „ახალი" ოიდიპოსი, თვალდაშრეტილი და ნათელმოსილი, განწმენდილი და განსპეტაკებული, ამაღლებული და აღზევებული. ასეთი კაცი, რომელმაც ბოროტი ღმერთი დაამარცხა და უსაშინლესი ბოროტებანი უმძიმესი თვითგვემით განაქარვა (სასახლის კიბეზე არ დაგორდება მძარე გმირიანების მქონე მაყურებლის თვალსაჩინოდ). იგი მიემართება მაღლა, მისი საოცარი გმირობით ჯადოქმნილი ქორო-ფანტასმების შუაგულში. იქ მას ახალი, დიდი სიმაღლე ელოდება — თვითგანწმენდილს, თვითგანსპეტაკებულს, თვითაღზევებულს...

წარმოდგენა სრულდება მადლიერი მაყურებლის გულწრფელი სიხარულით ულოცავს დიდ გამარჯვებას საყვარელ თეატრს.

ლ. სანიკიძე.

• • •



სურათზე: სპექტაკლ „ოიდიპოს მეფის" სცენა. ოიდიპოსი — ოთარ მეღვინეთუხუცესი, იოკასტე — მედეა ჩაფარიძე.

ვ. მორბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მსოფლიოს XI ჩემპიონატი ფეხბურთში

Argentina 78

## მეორე ფინალური წრის მატჩები

გუშინ გაიმართა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ფინალური წრის პირველი ტურის მატჩები. ერთმანეთს ხვდებოდნენ: ჯგუფი „ა". გფრ-იტალია, ჰოლანდია-ავსტრია; „ჯგუფი „ბ". პოლონეთი-არგენტინა, პერუ-ბრაზილია.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0, ხოლო ჰოლანდიელებმა დაამარცხეს ავსტრიელები დიდი ანგარიშით 5:1. დანარჩენი შეხვედრები გვიან ღამით დამთავრდა.

ხელბურთი

## მომდევნო ტურში იასპარეზებენ

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების სსრ კავშირის თასის გათამაშების მესამე ეტაპის მატჩები. ასპარეზობის ბოლო დღეს თბილისის „ბურევესტნიკმა" დაამარცხა ცსკა ანგარიშით 29:25, მინსკის არმიელთა გუნდმა — გროდნოს „პროგრესი" — 32:22. თბილისელებმა ოთხთა ტურნირში სამივე მატჩი მოიგეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გავიდა მინსკის არმიელთა გუნდი, მესამეზე—ცსკა, მეოთხეზე — „პროგრესი". თასის გათამაშების მეოთხე ეტაპში გავიდნენ თბილისელები და მინსკელები. მათთან ერთად დასკვნით, მეხუთე ეტაპში გასვლისათვის იასპარეზებენ კაუნასის „გრანიტასი" და მოსკოვის „კუნცევო". რამდენიმე დღეც და ახლა ეს ოთხეული იასპარეზებს დასკვნით ტურში თამაშის უფლების მოსაპოვებლად. შეჯიბრების მოწყობის ადგილი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

## — მოკლედ

თავისუფალი ჭიდაობა. ცხინვალში გაიმართა საკავშირო შეჯიბრება სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის პრიზებზე. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს დ. შაუმიანმა და მ. ოგანესიანმა (ორივე — კიროვაკანი), შ. მაისურაძემ (ცხინვალი), გ. კენკაძემ (თბილისი), თ. ხატაგოვმა (ორჯონიკიძე), რ. ალბოროვმა და თ. სანაკოევმა (ორივე — ცხინვალი), ნ. ტოკმაევმა ა. ცოპანოვმა (ორივე — ორჯონიკიძე).

ფარიკაობა. ლვოვში გამართულ მოფარიკავეთა საკავშირო ჩემპიონატში რაპირისტ ქალთა შორის ყველას აჯობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მინსკელმა ელენე ბელოვამ.

კრივი. დონეცკში დამთავრდა ლეონიდ სალივენკოს მემორიალი. წარმატებით იასპარეზეს თბილისის სპორტული დასტატების უმაღლესი სკოლის მოკრივეებმა: ჩემპიონები გახდნენ ვ. ასლანოვი (48 კგ) და ტ. ცაბოლაშვილი (63,5 კგ.). რ. აირაპეტოვი (57 კგ.) და ა. სოყორაშვილი (81 კგ) შესაბამისად II და III ადგილებზე გავიდნენ.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მწერალი

ელენე დავითის ასული ლოლოგერიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## — ტელევიზია

### 15 ივნისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.45 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 18.15 — უმცროსკლასელთათვის — რუსული ენა, 18.45 — „საერთაშორისო დღიური", 19.15 — „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება" (ფერადი), 20.00 — დოკუმენტური ფილმები, 21.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „როგორც პოეტი, ბოლშევიკი და მოქალაქე" — ალიო მირცხულავა.

მეორე პროგრამით

18.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 18.30 — განცხადებები, 18.35 — კინონარკვევი, 18.45 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 19.30 — მხატვრული ფილმი „უშფიფარი", 21.05 — საესტრადო კონცერტი, 21.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შოხრინების ოჯახი" (ფერადი).

## — რადიო

### 16 ივნისი

პირველი პროგრამით

06.15 — გადაცემათა პროგრამა, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები", 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — ამინდის ბიუროს ცნობა, 07.31 — „დილის კონცერტი", 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. (მოსკოვიდან), 08.25 — გადაცემათა პროგრამა, 08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 09.45 — ნ. მინხი. ოპერეტების ფრაგმენტები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.40 — „სიცოცხლე გრძელდება". რადიოკომპოზიცია. 12.15 — თ. შალიაპინის კონცერტი, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.55 — გადაცემათა პროგრამა. 13.00 — „დრო მოვლენები, ადამიანები" (მოსკოვიდან). 13.30 — გაზეთ „კრავდის" მოწინავე სტატია, 13.45 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 14.00 — კონცერტი-საუბარი „რობერტ შუმანი", 15.00 — „მეგობართა ხმები". გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან. 16.40 — „ყოფაცხოვრება — საერთო საზრუნავი" (მოსკოვიდან), 17.10 — გადაცემათა პროგრამა. 17.40 — მოსწავლეთათვის. საუბარი „ოჯახის რესურსები" 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება" (კონცერტი). 19.00 — „საქართველოს ნავთობის ხვალინდელი დღე". ინტერვიუ, 19.15 — რ. ლაღიძე. სიმღერები, 19.40 — კინოფილმების საორკესტრო მუსიკა (მოსკოვიდან), 20.30 — „ახალი სახელები". 21.00 — „ძილისპირული". 21.10 — რ. ინანიშვილი. „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება". რადიოდადგმა, 22.04 — ქართული ხალხური მუსიკა. 22.50 — „ხვალ — რადიოთი". 23.30 — გ. გულდის კონცერტი.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი



(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

16, 17 ივნისს

მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება

გაზეთ „პრავდის" პრიზებზე

დასაწყისი 15 საათზე.

შეჯიბრების საზეიმო გახსნა 16 ივნისს 18 საათზე და 30 წუთზე. ბილეთები იყიდება „დინამოს" სტადიონის სალაროებში და ორგანიზაციებში 14, 15, 16 და 17 ივნისს 10 საათიდან (ადგილები დაუნომრავია).

14 წლამდე ასაკის ბავშვები დაიშვებიან უბილეთოდ.

## — თეატრი

### 15 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჯადოსნური ფლეიტა; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — არშინ მალ ალან.


კომუნისტი — ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ნაძალადევი... თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-22-08, 99-03-09. პ/მ მდივანი — 99-72-80. სამდივნო — 99-68-10 განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 02121

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტ/ბ-ა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14